ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№3
(10963)

იანვარი. 1996 წ.
დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია ● ფასი 40 თეთრი

გამოდის 1924 წლის 13 აპრილიდან

კახი ასათიანი — საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე

სპორტის სახელმწიფო ხელმძღვანელმა ორგანომ ბოლო წლებში, რამდენჯერმე შეიცვალა სახელი და შესაბამისად სტატუსი.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი, სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო, სპორტის დეპარტამენტი, — ახლა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი — ეს უკანასკნელი, ცხადია, ფუნქციების სახელმწიფოებრივ გაფართოებასაც გულისხმობს.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარედ დაინიშნა კახი ასათიანი, რომელიც მანამდე სპორტის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

მოკრივეებმა თავი გამოიჩინეს

შვეციის ქალაქ სუნდსვალის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი კარგად აქვთ დაცდილი ქართველ მოკრივეებს. მათ არც ამჯერად შეურცხვენიათ თავი და ყველა სინჯის მედლებით დაბრუნდნენ შინ. გამარჯვებულის სახელი მოიპოვა ვარიანელმა მძიმეწონოსანმა (91 კგ) გიორგი კანდელაკმა, ხოლო ფოთელ კობა გოგოლაძეს (60 კგ) ვერცხლის მედალი ხვდა წილად; ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ თეთრიწყაროელი ბესიკ ვარძელაშვილი (63,5) და ქუთაისელი თენგიზ მესხაძე (67). ასპარეზობაზე ჩვენს მოკრივეებს სპონსორობა გაუწია ქუთაისის მე-12 სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსმა ნუგზარ ფალიანმა.

ბაიათლი კვლავ ჩვენთანაა

სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის (აიპს) ახალი პრეზიდენტი თოგაი ბაიათლი (თურქეთი) პირველად თბილისს და ჩვენს რედაქციას სტუმრად ეწვია 1985 წელს. ამჯერად იგი საქართველოში ჩამოვიდა, როგორც საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის სტუმარი, რათა გაეცნოს როგორც აიპსის ახალი წევრი ქვეყნის ორგანიზაციის საქმიანობას, გაუწიოს მას პრაქტიკული დახმარება.

პრეზიდენტმა კვლავ მოინახულა ჩვენი რედაქცია, გაეცნო გაზეთის გამოცემის პრობლემებს.

თოგაი ბაიათლი თბილისში დასახული პროგრამის შესრულების შემდეგ ქუთაისში და ბათუმში გაემგზავრა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტ ე. ბერიშვილთან ერთად.

მიშელ პლატინი — ფრანგული ფეხბურთის კორიფე

მე-5 გვ.

კვლავ საუკეთესონი...

პოპულარულმა ფრანგულმა გაზეთმა „ეკიპმა“ 1995 წლის საუკეთესო სპორტსმენად მსოფლიოში დაასახელა მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი სამხტომში, ინგლისელი ჯონათან ედვარდსი.

თავისი ლაურეატები დაასახელა იტალიის „გაძეტა დელ სპორტმაც“. მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენი ვაჟი — ჰაილე გებრესილასიე (ეთიოპია), ქალი — გვენ ტორენსი (იტალია, ორივე — მძლეოსნობა), გუნდი — იტალიის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრები.

ინგლისის დედოფალმა ელისაბედ II ბრიტანეთის იმპერიის ორდენები გადასცა სამ სპორტსმენს: „ლივერპულის“ ფეხბურთელთა გუნდის თავდამსხმელს იან რაშს, მსოფლიოს ჩემპიონსა და რეკორდსმენს სამხტომში ჯონათან ედვარდსს და ინგლისის რაგბისტთა ნაკრების კაპიტანს ბერნარდ გალახერს.

ესპანეთის 1995 წლის საუკეთესო სპორტსმენად ერთხმად დაასახელეს გამოჩენილი ველოსიპედისტი, „ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის ჩემპიონი მიგელ ინდურაინი.

აშშ-ს გოლფისტთა ღია ჩემპიონატში გამარჯვებული ანიკა სერენსენი გამოცხადებულია შვეციის საუკეთესო სპორტსმენად 1995 წლის შედეგების მიხედვით.

ჩინეთის საუკეთესო სპორტსმენთა სიაში პირველია მსოფლიოს ჩემპიონი ბადმინტონში ქალთა შორის ე. ჩჟაოინი.

ტუნისის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს აფრიკის თამაშების ჩემპიონი კრივში (54 კგ კატეგორია) რიად კლაი.

ბელორუსიის ჟურნალისტთა ტრადიციულმა საახალწლო ანკეტამ ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენად გამოაცხადა მსოფლიოს ჩემპიონი შუბის ტყორცნაში ნატალია შიკოლენკო.

ყაზახეთის ჟურნალისტებმა საახალწლო კონკურსში, რომლის მიზანი იყო ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენის გამოვლენა, უპირატესობა მიანიჭეს მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს სათხილამურო რბოლაში ვლადიმერ სმირნოვს.

ლიტველი კალათბურთელი არვიდ ას საბონისი — ქვეყნის ნაკრებისა და ნბა-ს კლუბის „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის“ ცენტრალური თავდამსხმელი აღიარებულია ლიტვის საუკეთესო სპორტსმენად. ამავე დროს იტალიის ყოველკვირეულმა „სუპერ-ბასკეტმა“ ევროპის წამყვანი მენეჯერების, მწვრთნელებისა და ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად, საბონისი კონტინენტის №1 კალათბურთელად დაასახელა. მეორე და მესამე ადგილები ამ რეფერენდუმში წილად ხვდათ იუგოსლაველებს პრედრაგ დანილოვიჩს და საშა ჯორჯევიჩს.

ბრაზილიაში 1995 წლის საფეხბურთო სეზონის ლაურეატებად დაასახელეს: საუკეთესო კლუბი „ბოტაფოგო“, საუკეთესო მოთამაშე — ჯოვანი „სანტოსიდან“ (იმ ფეხბურთელთა შორის, რომლებიც ბრაზილიაში თამაშობენ), საუკეთესო მწვრთნელი — პაულო აუტუორი („ბოტაფოგო“), საუკეთესო არბიტრი — ხიდრაკ მარინიო დოს სანტოსი.

ნომერშია:

● კატასტროფის წინაშე მდგარი „პუმა“ ახალმა შეფმა იხსნა.
მე-2 გვ.

● ფიდეს ახალმა პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა კიდევ ერთხელ განაცვიფრა საჭადრაკო სამყარო. მსოფლიოს პირველობის მონაწილეებს, პრიზიორებს და გამარჯვებულს იმდენ ფულს პირდება, ადრე ოცნებაც რომ არ შეიძლებოდა
მე-3 გვ.

● „მე ჯერ გონებაში ვასრულებდი სარეკორდო ნახტომს“
მე-4 გვ.

● მიშელ პლატინი, შანდორ კოჩიში, მსოფლიოს ფეხბურთის ახალი ამბები
მე-5 გვ.

● პროფესიული კრივის ამბები, უცნაურობანი, იუმორი, კროსვორდი...
მე-6 გვ.

ვინ, ვის?

როცა საქმე სპორტის დაფინანსებას ეხება, ვფიქრობთ, კითხვა ასე არ უნდა დაისვას



რამდენიმე დღეს, როგორც იტყვიან, მუხლჩაუხრელად განიხილებოდა საქართველოს 1 996 წლის ბიუჯეტი, სადაც სპორტსაც უნდა მიეღო მოკრძალებული ულუფა. იყო საერთოდ „მშრალზე“ დარჩენის საშიშროება, მაგრამ ქართული სპორტის თავკაცების თავგამოდებულმა ბრძოლამ, ქვეყნის პრეზიდენტისა და მთავრობაში სპორტის მნიშვნელობის დამფასებელმა კაცებმა თავისი სიტყვა თქვეს — სპორტი „მშრალზე“ არ დარჩა.

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია პარლამენტზე. ვინ, ვის? როცა საქმე ეხება ქართულ სპორტს და ქვეყნის პრესტიჟს მსოფლიოში, ვფიქრობთ, ეს კითხვა არც უნდა დაისვას...

შეკითხვა «ლელოს»

თქვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილების შინაარსი, სადაც აღნიშნული იყო, რომ მერიის საფინანსო სამმართველომ 1996 წლის ბიუჯეტში უნდა გაითვალისწინოს სტრატეგიული სპორტული ობიექტების ელექტრო და წყლის ხარჯების ღირებულების დაფარვა.

გთხოვთ გვიპასუხოთ, კონკრეტულად თბილისის რომელ სპორტულ ობიექტებზეა ლაპარაკი?

ავთანდილ გუნია
პროფკავშირების ველოსკოლის დირექტორი

პასუხი: ზემოაღნიშნულ დადგენილებას ახლავს დანართი (№1 და №2), სადაც ჩამოთვლილია თბილისის ის სპორტული ობიექტები, რომელთა ელექტრო და წყლის ხარჯები დაიფარება ქალაქის ბიუჯეტიდან. ეს ობიექტებია: ჭადრაკის სასახლე, ძიუდოს დარბაზი, ფალავანთა კლუბი, ფარიკაობა — ძალოსნობის დარბაზი, გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშული დარბაზი, ჭიდაობის სპორტული ბაზა (ჩუბინაშვილის, ყოფილი ორჯონიკიძის ქუჩა), ველოტრეკი (უზნაძის, ყოფილი კამოს ქუჩა), ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი.

ორი ვერცხლის მედალი

კრასნოდარში დამთავრდა რუსეთის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ორმა ჩვენმა თანამემამულემ ვერცხლის მედლები მოიპოვა. 90 კგ-ში მოსკოველი გოგი კოლუაშვილის მეორე ადგილი აშკარად წარუმატებლობაა. რაც შეეხება თეიმურაზ ედიშერაშვილს (ვორონეჟი), ვერცხლის მედალმა მას ადგილი მოუპოვა რუსეთის ნაკრებში.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ხელბურთის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებენ ვეტერან ხელბურთელს, სპატიო სპორტის ოსტატ ჭემალ ცერცვაძეს ДИС გარდაცვალების გამო.

ადით, ბიზნესმენებო, კავკასიონზე!

ჩვენი ბიზნესმენები, გარდა ბიზნესისა, ყოველდღიურ პირად უსაფრთხოებაზეც ფიქრობენ და, როგორც იტყვიან, ორ ცეცხლს შუა ჩავარდნილნი ცდილობენ გაიტანონ თავიანთი ლელო. აი, მათგან განსხვავებით, სულ სხვა საზრუნავი ჰქონიათ უცხოელ ბიზნესმენებს, რომელთაგან ზოგიერთი თურმე, იქით ეძებს ხიფათს. მაგალითად, 39 წლის ბრიტანელმა დევიდ ხემპელმენ-ადამსმა ორთვიანი თვითგვემის მძიმე დღეები გაიარა — მარტოდ-მარტომ დაიპყრო სამხრეთ პოლუსი. ამ ბიზნესმენმა 670 მილი გაიარა, თან მიათრევდა აუცილებელი ნივთებით დამძიმებულ მარხილს. მაგრამ მანძილი კიდევ არაფრის მთქმელია, თუ არ ვიტყვით, რომ მოგზაურს გზას უხშობდა შემხვედრი ძლიერი ქარბუქი, ყინულოვანი ნაპრალები, ტემპერატურა კი მეტწილად მინუს 40 გრადუს აჭარბებდა.

ერთი სიტყვით, დევიდ ხემპელმენ-ადამსმა, არა როგორც პირველმა ბიზნესმენმა, არამედ როგორც პირველმა ბრიტანელმაც, თავისი სიტყვა თქვა.

კარგი იქნება ჩვენი ბიზნესმენები, ეულად თუ არა, ჯგუფურად მაინც ეწვევიან თუნდაც სვანეთს და მოაწყობენ ბიზნესმენთა პირველ ალპინიადას, კავკასიონის ერთ-ერთ მწვერვალზე. დაგვერწმუნეთ, თქვენც პირველნი იქნებით და ისტორიაში დაიმკვიდრებთ ადგილს. და კიდევ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია — შიშის გრძნობასაც დათრგუნავთ.

გააჩნია, ვინაა ხელმძღვანელი...

«პუმა» ახალი ნახტომისთვის ემზადება

გერმანული ფირმები სპორტში დაახლოებით 2,5 მილიარდ მარკას აბანდებენ. სპორტის ერთ-ერთი აქტიური ქომაგია და მხარდამჭერი „პუმა“, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ, სათავეში ჩაუდგა 32 წლის დირექტორი იოჰენ ცაიცი. კატასტროფის წინაშე მდგარი ფირმა ამ ენერგიულმა საქმოსანმა მოგების გზაზე დააყენა. ნათქვამის საილუსტრაციოდ ერთი ასეთი ინფორმაციაც კმარა: 1995 წლის 9 თვეში ფირმის მოგებამ 47 მილიონი მარკა შეადგინა.

ახალგაზრდა ბიზნესმენმა საინტერესო ინტერვიუ მისცა გერმანულ „კიკერს“.

● **თქვენ რომ „პუმას“ ჩაუდექით სათავეში, ფირმა წელში იყო გაწყვეტილი და სულს ღაფავდა. ახლა იგი აღმავლობის გზაზეა...**

— „პუმა“ ერთ-ერთი პოპულარული ფირმაა სპორტის დარგში. მის საქონელს კარგად იცნობენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. სწორედ ეს გახლდათ ის საფუძველი, რაზედაც გადავწყვიტეთ დაყრდნობა.

● **როდის დაიწყო შემობრუნება თქვენს საქმიანობაში?**

— 1993 წელს გადავწყვიტეთ შეგვექმნა (ან უფრო სწორად, აგვეღორძინებინა) სრულიად ახალი წარმოება. ზომები მივიღეთ საკმაოდ მკაცრი და რადიკალური. სხვაგვარად არ შეიძლებოდა. პერსონალი საგრძნობლად შევამცირეთ, შევამცირეთ ხარჯებიც...

● **როგორც ვიცით, თქვენ აქცენტი აიღეთ სპონსორობაზე და არჩევანი ფეხბურთზე შეაჩერეთ?**

— მთელი ძალისხმევა ორი მიმართულებით წარვმართეთ: მძლეოსნობა და ფეხბურთი ჩვენი სტრატეგიული სახეობებია.

● **ჩოგბურთი?**

— ჩოგბურთი ჩვენი სახეობა იყო ისტორიულად. ჩვენ ვმფარველობდით ბეკერს, ნავრატილოვას, ვილასს, ლეკონტს... სამწუხაროდ, ბევრი ინვესტიცია ამ სფეროში უკონტროლო იყო. ჩვენ ჯერ არა ვართ მზად ერთ რომელიმე მოთამაშეს გამოვუყოთ მილიონი დოლარი. ის დრო წავიდა, როცა ბორის ბეკერის სახელი, მაგალითად, მყიდველებში გარკვეულ ბუმს იწვევდა.

● **წარსულში „პუმას“ ჰყავდა ლეგენდარული პარტნიორები — პელე, ეუსებიო, მარადონა, მათეუსი, ფიოლერი, ბეკერი. ახლა როგორ გაქვთ საქმე?**

— დღეს მნიშვნელობა აქვს არა მარტო სპორტსმენის პირად წარმატებებს, არამედ მის კავშირს ფირმასთან. სპორტსმენის პიროვნება იმიჯს უნდა უქმნიდეს ფირმას. ქვეყნად ბევრია მაღალი კლასის სპორტსმენი, მაგრამ მათი ავტორიტეტი ფირმისთვის არაფერს ნიშნავს. ჩვენ გვჭირდება ისეთი ვარსკვლავები, რომელთა იდენტიფიკაცია შეიძლება ფირმის ემბლემასთან.

● **სჭირდება თუ არა ფირმას, მაგალითად, ლოთარ მათეუსის სახელი?**

— მათეუსი ის სუპერვარსკვლავი გახლავთ, რომელთანაც „პუმას“ დიდი ხნის და მჭიდრო კავშირი აქვს.

● **ყიდულობს თუ არა ვინმე თქვენი მარკის ფეხსაცმელს იმიტომ, რომ მას მათეუსიც ატარებს?**

— ადრე, რამდენიმე წლის წინათ ასე იყო, ახლა კი — ნურას უკაცრავად! დღეს ცალკეული სპორტსმენები მყიდველის არჩევანზე გავლენას ვეღარ ახდენენ.

● **მაშ რაში გჭირდებათ ამა თუ იმ სპორტსმენის სახელი?**

— მხოლოდ წარმოების იმიჯის გასამტკიცებლად.

● **აყენებს თუ არა ზიანს „პუმას“, ვთქვათ, მათეუსის ხშირი კრიტიკა პრესაში?**

— სრულებითაც არა. კრიტიკა, პირველ რიგში, ეხება მხოლოდ სპორტსმენს, სხვას არავის. წარმოებამ მხოლოდ თვალყური უნდა ადევნოს როგორ ფორმას მიიღებს შემდგომში ეს კრიტიკა. თუ, მაგალითად, სპორტსმენს დაუმტკიცდება დოპინგის მიღება, ჩვენ ავტომატურად ვაუქმებთ მასთან ხელშეკრულებას.

● **„ოპელმა“ რომ გაწყვიტა ურთიერთობა შტეფი გრაფთან, მართალი იყო?**

— „ოპელის“ ეს ნაბიჯი ჩემთვის გაუგებარია. ჩვენ წინა პლანზე ვაყენებთ სპორტსმენს და არა მის მშობლებს ან ახლობლებს.

● **„ადიდასს“ ხელშეკრულება აქვს დადებული ბეკენბაუერთან მთელი სიცოცხლის მანძილზე. ხომ არ გექნებათ თქვენ პრაქტიკაში ასეთი კონტრაქტები?**

— წინათ ასეთი ხელშეკრულებები ხშირად იდებოდა. ჩვენთვის ეს ფინანსური მოსაზრებებით უაზრობაა.

● **პრემიებს თუ უხდით სპორტსმენებს წარმატებისათვის?**

— დიახ, ვუხდით.

● **დიდია თუ არა ამ სახის პრემიები?**

— თანხები სხვადასხვაა. მაგრამ მათი დასახელების უფლება არა მაქვს.

● **აქვს თუ არა აზრი ასეთ პრემიებს?**

— რა თქმა უნდა აქვს აზრი. ყოველი წარმატება აძლიერებს საზოგადოების ინტერესს ამ სპორტსმენისადმი. ეს კი, თავის მხრივ, ერთი-ორად ზრდის მის სარეკლამო ღირებულებას.

● **როგორია სპორტში ჩადებული სახსრების ოდენობა?**

— თუ წარმოება დიდ ფულს იხდის, ესე იგი, მას ულირს ასეთი ინვესტიცია. ისე კი, ყველაფერი მოთხოვნასა და მიწოდებაზეა დამოკიდებული.

ხუთი რგოლის გარშემო

● **საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინა ლოზანაში მოინახულეს რუსეთის ეოკ-ის პრეზიდენტმა ვიტალი სმირნოვმა და სანკტ-პეტერბურგის მერმა ანატოლი სობჩაკმა, მათ სოკის პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს ოფიციალური განაცხადი ჩააბარეს სანკტ-პეტერბურგის ხელისუფლებისაგან, რომელიც მზად არის მიიღოს 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლის სტატუსი.

● **ოფიციალურად** გამოცხადდა, რომ განაცხადების მიღება 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლობაზე შეწყვეტილია. სულ ბოლო დღეს განაცხადები წარადგინეს საფრანგეთის ლილმა და რუსეთის სანკტ-პეტერბურგმა. მათ გარდა, ოლიმპიური ქალაქების კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ: ათენი (საბერძნეთი), ბუენოს-აირესი (არგენტინა), კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), რომი (იტალია), რიო-დე ჟანეირო (ბრაზილია), სან-ხუანი (პუერტო-რიკო), სევილია (ესპანეთი), სტამბოლი (თურქეთი) და სტოკჰოლმი (შვეცია). მიუხედავად იმისა, რომ ადრე იყო ლაპარაკი, ჩინეთის არც ერთმა ქალაქმა განაცხადი არ წარმოადგინა.

● **მასობრივი** ინფორმაციის საშუალებებმა ენთუზიაზმით აიტაცეს ცნობა იმის შესახებ, რომ კორეის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც თანხმობა განაცხადა ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე. ამრიგად, 1996 წლის ოლიმპიადაში გამოვა სოკის დროშის ირგვლივ გაერთიანებული ყველა 197 ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. კომუნისტური კორეის ხელმძღვანელობასთან თამაშებში მონაწილეობის თაობაზე მოლაპარაკებას აწარმოებდა აშშ-ს ექსპრეზიდენტი ჯიმი კარტერი. თანხმობის წერილი სოკს გაუგზავნა ჩრდილოეთ კორეის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ მიონ ჩოლ პაკმა.

● **მძლეოსნობის** საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა პრიმო ნებიოლომ განაცხადა, რომ არ გამორიცხავს ატლანტის თამაშების პროგრამის ნაწილობრივ შეცვლას. პირველ რიგში ეს ეხება მარათონელებს. ვინაიდან საღამოს შვიდის ნახევარზე ატლანტაში შეიძლება აუტანელი სიცხე იყოს, შეჯიბრება ამ სახეობაში დაიწყება დილის რვისნახევარზე. საერთაშორისო ფედერაცია მზადაა გაითვალისწინოს მაიკლ ჯონსონისა და კარლ ლუისის თხოვნა და პროგრამის ზოგიერთი სახეობა იმდაგვარად დააშოროს ერთმანეთს, რომ მათ საშუალება ჰქონდეთ რამდენსამე სახეობაში გამოსვლისა.

● **1998 წლის** ზამთრის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა დაამტკიცა თამაშების ჩატარების ვადები. ოლიმპიადა ნაგანოში (იაპონია) დაიწყება 7 თებერვალს და დამთავრდება 14 დღის შემდეგ. გათამაშდება მედლების 68 კომპლექტი. თამაშების პროგრამა შეივსება სამი ახალი სახეობით. ესენია: ქალთა ჰოკეი, კერლინგი და სნოუბორდინგი.

● **ესპანეთის** ოლიმპიური კომიტეტის განცხადებით ატლანტაში ამ ქვეყნის სპორტსმენებმა 12 ოქროს მედალი უნდა მოიპოვონ. უმაღლესი ჯილდოების ნაკლებ რაოდენობას ესპანეთის ეოკი განიხილავს როგორც ჩავარდნას. სპეციალისტებს განსაკუთრებული იმედი აქვთ მიგელ ინდურაინის (ველოსპორტი), მარტინ ფისის, ფერმინ კაჩოსა და მასანოსი (სამივე — მძლეოსნობა), არანტა სანჩესისა და კონჩიტა მარტინესის (ორივე — ჩოგბურთი), აგრეთვე აფროსნების, მოფარიკავეების, ფეხბურთელებისა და ბალახის ჰოკეისტების.

● **შვეციის** ოლიმპიური კომიტეტის ფუნქციონერთა ვარაუდით, ამ ქვეყნის სპორტსმენებმა ატლანტაში სხვადასხვა ღირსების 46 ოლიმპიური მედალი უნდა მოიპოვონ. მოცურავეებს დაუგეგმეს 8 მედალი, აფროსნებს — 6, თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს — 5, მძლეოსნებს — 4, ბადმინტონისტებს — 3. მედლებს ელიან, აგრეთვე ნიჩბოსნებისგან, მაგიდის ჩოგბურთელებისგან, მშვილდოსნებისგან, მსროლელებისგან და ველოსიპედისტებისგან.

● **ცხენოსნობის** საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალური პროტესტი გაუგზავნა ატლანტის ოლიმპიადის ორგანიზატორებს, რომლებიც არ უშვებენ შტატებში პიროპლაზმოზით დაავადებულ ცხენებს. სკანდალმა ამის თაობაზე იმდენად საშიში ფორმა მიიღო, რომ საქმეში ჩაერია აშშ-ს სახელმწიფო მდივანი სოფლის მეურნეობის დარგში დენ გლიკმენი. საქმე ისაა, რომ თუ ორგანიზატორებმა გაიტანეს თავისი, ოლიმპიადის მიღმა დარჩება გერმანიის, საფრანგეთის, იტალიისა და ესპანეთის 23 საუკეთესო ცხენი.

● **ატლანტის** ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს 48 წლის ბილი პეინს ორჯერ ჰქონდა გადატანილი გულის ოპერაცია. ეს ცნობა გამოქვეყნეს ეროპელმა ჟურნალისტებმა. ამის მიუხედავად, პეინი ყოველდღე დილის 6 საათზე დგება, იძინებს ნაშუაღამევს და დღეში 16 საათს მუშაობს. მისი ხელფასია კვირაში 12,5 ათასი დოლარი.

● **ჯერჯერობით** ვერ გადაწყდა ატლანტაში 10 საზოგადოებრივი საშხაპის განლაგების საკითხი. ქალაქის ხელისუფლებამ კარგა ხანია შეუკვეთა ეს საშხაპეები გერმანიის ერთ-ერთ ფირმას. გერმანელები მზად არიან დაამონტაჟონ ისინი სახელმწიფოს კუთვნილ მიწაზე. ქალაქის მერია კი ამისი კატეგორიული წინააღმდეგია.

„ჩამოვედით, რომ თქვენგან ვისწავლოთ“

ქართულ ცირკს აქვს თავისი ტრადიციები, რომლის აღორძინება, სამწუხაროდ, ერთობ გაგვიჭიანურდა. თუმცა, ინტერესი საცირკო ხელოვნებისადმი ჩვენში არ დაკარგულა და დროდადრო უცხო ქვეყნის მსახიობები თუ გაგვახარებენ ხოლმე, მეტწილად ჩვენს პატარებს. ზოგიერთი კი, თურმე, მხოლოდ გასტროლების ჩასატარებლად როდი ჩამოდის საქართველოში. ჩამოდიან ცოდნის, ოსტატობის ასამაღლებლად. მათი აზრით, ჩვენგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, გარდა გასტროლებისა, ამგვარი მისიით იმყოფება დღეს თბილისში ცირკის მსახიობების 6-კაციანი ჯგუფი (ინგლისის მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ საფრანგეთში). პირველად ისინი თბილისში ჩამოუყვანია უინსტონ ჩერჩილის შვილიშვილის ქმარს — 1991 წელს.

ვესაუბრებით ამ ჯგუფის წევრს, 26 წლის უინსტო ლავრგროფს.

● **ცირკი ზოგისთვის გატაცება, ზოგისთვის შემოსავლის წყარო, ზოგისთვის ორივე ერთად. რა არის თქვენთვის ცირკში მოღვაწეობა?**

— მე და ჩემი თანამოაზრეები საცირკო ხელოვნებაში, გატაცების ან შემოსავლის გამო არ მივსულვართ. ჩვენთვის ცირკში მუშაობა, პირველყოვლისა, ცხოვრების სტილია. ვმოგზაურობთ ქვეყნებში, ვეცნობით სხვადასხვა ხალხებს, ცირკი იძლევა აგრეთვე თვითდამკვიდრების, თვითრეალიზაციის შესანიშნავ საშუალებას. აი, რა არის მთავარი.

● **ცხადია, პრაქტიკულ საქმიანობაში ოსტატობაც იხვეწება, სხვა ქვეყნების საცირკო ხელოვნებით თუ ამდიდრებთ თქვენს რეპერტუარს, თუ ასეა, რა შეიძინეთ საქართველოში?**

— მუშაობა უაზრობაა თუ არ იმაღლებ ოსტატობას, ეს თავისთავად. რა თქმა უნდა, რაც მოგწონს და რასაც „მოეწევით“ მიგვაქვს და რეპერტუარში შეგვაქვს, მაგრამ არის საავტორო ნომრები და მათ მიმართ მეტი სიფრთხილეა საჭირო.

საქართველოში მეორედ უფრო იმიტომ ჩამოვედით, რომ აქ შეიძლება შეიძინო ყველაფერი, რაც ცირკის მსახიობის ხელოვნებას სრულყოფს?

● **კონკრეტულად რას გულისხმობთ...**

— ჩვენ, ასე ვთქვათ, მოხეტიალე მსახიობები ვართ. ბევრ ქვეყანაში ცირკი ისეთი სტატუსით, ვთქვათ, როგორიც თეატრია, არ არსებობს, შენობაც არ გააჩნიათ, დამწყებ მსახიობებს მასწავლებლებიც იშვიათად ჰყავთ. აქ, თქვენთან კი ყველაფერია. რაც მთავარია, გაქვთ სახელმწიფო ცირკი, სადაც თავდადებული და უნარიანი ადამიანები მუშაობენ. სიმართლე გითხრათ, ამჯერად ჩამოვედით, რომ თქვენგან ვისწავლოთ, კვალიფიკაცია ავიმაღლოთ. ძირითადი მიზანი ესაა. თქვენთან ნამვილად შეიძლება ბევრი რამის სწავლა, გულღია ხალხი ხართ.

● **ვის მიიჩნევთ, ვისგანაც შეიძლება ისწავლოთ?**

— ესაა ქალბატონი ნანა მელქაძე — ცირკის სამხატვრო ხელმძღვანელი, შესანიშნავი სპეციალისტი. ჩვენ მისგან ვსწავლობთ სასცენო ოსტატობას, არტისტიზმს, მსახიობის აუცილებელ მანერებს, მაყურებელთან კონტაქტის დამყარებას...

● **რამდენი ქვეყანა გამოიარეთ, ვიდრე საქართველოში მოაღწევდით?**

— ძალიან ბევრი. ჯერ მთელი ევროპა მოვიარეთ. თქვენამდე კი 7 ათასი კილომეტრი მოვიტოვეთ უკან, თურქეთიდან შემოვედით.

* * *

დაბოლოს აღვნიშნავთ, რომ ინგლისელ მსახიობებს საფრანგეთიდან ყოველმხრივ გაუმართა ხელი საქართველოს სახელმწიფო ცირკის ხელმძღვანელობამ (დირექტორი თემურ ჯაფარიძე), სტუმრებს აქ საცხოვრებელიც გამოუყვეს (ზოგიერთი მსახიობი, მათ შორის, ჩვენთვის უკვე ცნობილი ლავგრაფი, ცოლშვილითაა ჩამოსული).

ეს ჯგუფი მალე დატოვებს საქართველოს იმ იმედით, რომ მესამედაც გვეწვევიან, უფრო ხალისიან, უფრო თბილ და უფრო ლაღ საქართველოში.

კონსულტაცია

ავარჯიშეთ ყურადღება!

როგორ ვმართოთ ყურადღება? ფსიქოლოგები გვირჩევენ ძალიან მარტივ სავარჯიშოს. აიღეთ წამზომი ან გამოიყენეთ წამზომიანი საათი და ყურადღების სრული მობილიზაციით გაადევნეთ თვალყური ისრის მოძრაობას იმდენ წამს, რამდენსაც შეძლებთ, მაგრამ თავდაპირველად არა უმეტეს 20-40 წამისა. ვარჯიშის პროცესში თანდათან გაზარდეთ დატვირთვა 1-3 წამით. თუ ვარჯიშის დროს, თუნდაც მყისიერად, გაგექცათ ყურადღება, ჩათვალეთ, რომ ვარჯიში ვერ შეასრულეთ.

უფრო სასარგებლოა ივარჯიშოთ საღამოს, როცა ტვინი გადაღლილია. ერთი თვის სისტემატიური ვარჯიშის შემდეგ თუ თქვენ ყურადღების გაუფანტავად უწყვეტლივ დასცქერით წამზომის ისარს 5 წუთის განმავლობაში, ეს ნიშნავს, რომ თქვენ უკვე ყურადღების ნებისყოფით მართვის უმაღლეს დონეს მიაღწიეთ.

გისურვებთ წარმატებას!

რა ხდება ქვეყანაზე

● **აშშ-ს** ტანვარჯიშის ფედერაციამ ექვსი პრეტენდენტი ქალაქიდან უპირატესობა მიანიჭა ინდიანაპოლისს, როგორც 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელს. ეს შეჯიბრება ინდიანაპოლისში ერთხელ უკვე ჩატარდა, 1991 წელს.

● **ფიგურისტთა** ევროპის ჩემპიონატის მონაწილეებს პირველად წლეულს გადაეცემათ ფულადი პრემიები. ქალთა და ვაჟთა შეჯიბრებებში გამარჯვებულნი მიიღებენ 20-20 ათას დოლარს, მეორე პრიზიორები — 15-15, მესამე კი 10-10 ათას დოლარს. წყვილთა სრიალსა და ცეკვებში პრემიები ასე განაწილდება: ჩემპიონები — 30-30 ათასი დოლარი, ვერცხლის მედალოსნები 22500-22500, ბრინჯაოს მედალოსნები კი 15-15 ათას დოლარს. ფულად პრემიებს მიიღებენ ჩემპიონატის სხვა მონაწილენიც. სულ მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირმა პრემიებისთვის 658 ათასი დოლარი გამოჰყო.

● **სამგზის** ოლიმპიური ჩემპიონის იენს ვაისფლოგის (გერმანია) გამარჯვებამ ოთხი ტრამპლინის ტურნეში წერტილი დაუსვა ამ შესანიშნავი მოთხილამურის სპორტულ კარიერას. 13 წლის მანძილზე საერთაშორისო ტურნირებში ოლიმპიურ ჩემპიონს 31-ჯერ აქვს მოპოვებული პირველი პრიზი.

● **რომის** XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ჯგუფურ რბოლაში, 62 წლის ვიქტორ კაპიტონოვი 10-წლიანი შესვენების შემდეგ კვლავ რუსეთის ველოსიპედისტთა ნაკრები გუნდის (გზატკეცილზე) უფროს მწვრთნელად დაინიშნა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მის ხელში ქვეყნის უძლიერესმა ველომრბოლელებმა მსოფლიო ჩემპიონის არაერთი ოქროს მედალი მოიპოვეს, აგრეთვე, გაიმარჯვეს მიუნხენის, მონრეალისა და მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში.

● **მსოფლიოს** უძლიერესი ჩოგბურთელის შტეფი გრაფის მამამ პიტერ გრაფმა, რომელიც დაპატიმრებულია გადასახადების გადაუხდელობის გამო, შეცვალა ტაქტიკა და აღარ აძლევს ჩვენებებს ბადენ-ვიურტემბერგის მიწის საპარლამენტო კომისიას. 57 წლის პიტერმა ამ ზომას მიმართა მას შემდეგ, რაც მესამედ არ დააკმაყოფილეს მისი თხოვნა თავდებში გამოშვების თაობაზე.

● **22 წლის** სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ცურვაში, ვოლგოგრადელმა ევგენი სადოვიმ გადაწყვიტა თავი დაანებოს სპორტს. ეს ცნობა რუსეთის სპორტულ წრეებში აღიქვეს როგორც ახალი, 1996 წლის მთავარი სენსაცია. ოფიციალური ვოლგოგრადი აცხადებს, რომ ოლიმპიურ ჩემპიონს სპორტიდან წასვლა ექიმებმა ურჩიეს, თუმცა ეჭვობენ, რომ იგი აიძულეს ეს ნაბიჯი გადაედგა.

კირსან ილიუმჟინოვი ყველას გასაგონად ხმამაღლა აცხადებს: ჩემი მიზანია თავდაყირა დავაყენო აქამდე არსებული საჭადრაკო სისტემა!

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ახლახან არჩეულმა თავკაცმა კირსან ილიუმჟინოვმა სინგაპურში ჩაატარა პრეზიდენტთა საბჭოს სხდომა, რომელზეც, მისივე სიტყვები რომ ვიხმაროთ, მიიღეს რამდენიმე რევოლუციური ხასიათის გადაწყვეტილება. მათში უმთავრესი გახლავთ ის, რომ ამიერიდან ყოველწლიურად გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა ეროვნული საჭადრაკო ფედერაციების დიდმა უმრავლესობამ ყველა კონტინენტზე.

— განახლებულ ფედერაციას, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ახალმა პრეზიდენტმა, — არსებითი რამ უნდა მოემოქმედა, თანაც რაც შეიძლებოდა სწრაფად. ფიდეს პრეზიდენტად 24 ნოემბერს ამირჩიეს. ერთ თვეში უნდა წარმომედგინა ჭადრაკის განვითარების კონცეფცია და მოკლედ მომეხაზა მისი სტრატეგიული გზები. ჩვენმა ორგანიზაციამ, ვფიქრობ, საინტერესო გეგმები წარმოადგინა, რომლებზეც ვრცელი საუბარი, ცხადია, მოსაწყენი იქნება.

— რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატების ფორმულას, წლევანდელი გათამაშება დაიწყება 22 დეკემბერს და დამთავრდება მერმისს, 12 იანვარს. ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 96 მოჭადრაკე. ესენი იქნებიან მსოფლიოს ჩემპიონები, საჭადრაკო გვირგვინის პრეტენდენტები, ეროვნული ჩემპიონები, ზონალურ შერჩევით ტურნირებში გამარჯვებულნი. საერთო საპრიზო ფონდი, წლეულს პირველად, 5 მილიონ დოლარს მიაღწევს. ჯერ არავის შეუქმნია ასეთი თანხა ჭადრაკის საჭიროებისათვის. აქედან მსოფლიოს ჩემპიონი მიიღებს 1,37 მილიონს, ფინალისტი — 768 ათასს (შედარებისთვის: პირველსავე წრეში დამარცხებულს გადაეცემა 6 ათასი დოლარი).

ახალი პრეზიდენტის აზრით, მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების მსგავსი სისტემა და შესაბამისი მატერიალური ანაზღაურება მოიზიდავს ყველა, ცოტა თუ ბევრად, ცნობილ მოთამაშეს და გარკვეულწილად უფრო პოპულარულს გახდის ჭადრაკს. მსოფლიო ჩემპიონს, ბუნებრივია, თავისი მაღალი ტიტულის დაცვა მოუხდება ყოველ წელს, რაც კიდევ უფრო მეტად დააახლოვებს ჭადრაკს სპორტთან.

— გარდა ამისა, თქვა პრეზიდენტმა, — პირადად მე ჭადრაკში „ჩავდე“ ნახევარი მილიონი დოლარი. ჩვენი ფედერაციის სარეკლამო ფილმი უკვე აჩვენეს რიგ ქვეყნებში. სულ მალე იგი წავა ამერიკის გლობალური არხით (სი-ენ-ენი). **ჩემი მიზანია თავდაყირა დავაყენო აქამდე არსებული ფინანსური სისტემა ჭადრაკში. ახლავე მოგახსენებთ რას ნიშნავს ეს. ამიერიდან ფულების მოზიდვით მოჭადრაკეები კი არა, ფიდეს ხელმძღვანელები იქნებიან დაკავებულნი. მოჭადრაკემ უნდა ითამაშოს ჭადრაკი. ესაა მისი მოვალეობა.**

— არ უარვყოფ, რომ მსოფლიო ჩემპიონატების ახალ ფორმულაში გათვალისწინებულია პოტენციურ სპონსორთა ინტერესები. ჭადრაკის განვითარების ახალი სტრატეგია საქმიანი წრეების ყურადღებას იზიდავს და ამაშია სწორედ მისი ძალა. ჩემპიონატის ჩატარების ვადები ხუთი წლის მანძილზე არ შეიცვლება. ეს სატელევიზიო კომპანიების ინტერესებშიცაა. **ვცდილობ მოვიზიდო დიდი კაპიტალი. იმედი მაქვს, რომ მოჭადრაკეებს, სულ მალე, სპორტსმენთა შორის ყველაზე მაღალი ჰონორარი ექნებათ.**

ილიუმჟინოვმა აღიარა, რომ მისმა არჩევამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია ჭადრაკის სამყაროში, განსაკუთრებით რუსეთის საჭადრაკო ფედერაციის ხელმძღვანელობაში.

— მაგრამ, — თქვა ახალმა პრეზიდენტმა, ამ ცოტა ხნის წინ კასპაროვმაცა და რუსეთის ჭადრაკის მეთაურმა ანდრეი მაკაროვმაც გამოთქვეს საერთაშორისო ფედერაციასთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი. იმედი მაქვს, რომ ამიერიდან ჩვენ [illegible] პრობლემები აღარ იქნება.

* * *

მალე, 30 იანვარს ესპანეთის საკურორტო ქალაქ ხაენში დაიწყება მატჩი ქალთა მსოფლიო პირველობაზე ამ ტიტულის ახლანდელ მფლობელ სიე ძუნსა (ჩინეთი) და პრეტენდენტს ჟუჟა პოლგარს (უნგრეთი) შორის. საორგანიზაციო კომიტეტის პრეს-მდივნის განცხადებით, 29 იანვარს გაიმართება კენჭისყრა, მეორე დღეს კი პირველი პარტია. რეგლამენტით გათვალისწინებულია 16 პარტიის ჩატარება. მატჩი უნდა დამთავრდეს 24 თებერვალს.

ილიუმჟინოვი შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს, მსოფლიო სპორტული მოძრაობის მესაჭედ მოგვევლინოს

როგორც ირკვევა, ყალმუხეთის 33 წლის პრეზიდენტს, სპორტის სამყაროში თავისი ავტორიტეტის განმტკიცებისათვის, მხოლოდ მსოფლიო საჭადრაკო ორბიტა არ აკმაყოფილებს. ფიდეს ახალმა თავკაცმა კიდევ ერთი სენსაციური წინადადებით გაგვაოცა: „მე მოვიწვევ ყალმუხეთში მარადონას მწვრთნელად და ნახავთ რა გუნდი გვეყოლება“ — უთქვამს, ამას წინათ, ილიუმჟინოვს. ვინც კარგად იცის, რომ ილიუმჟინოვი სიტყვის კაცია, არც ამ, ერთი შეხედვით უცნაურ განცხადებას მიიღებს პრეზიდენტის ახირებად. ერთი სიტყვით, ამ კაცმა, რომელმაც უკვე აალაპარაკა მსოფლიოს სპორტული სამყარო (არა მხოლოდ საჭადრაკო), ელისტის „ურალანის“ მესვეურებს, წლევანდელ საფეხბურთო სეზონში, რუსეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გადასვლა დაუსახა მიზნად. აი, მარადონას კი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მოიწვევს, მაშინ, როცა გუნდი უმაღლეს ლიგაში გადავა.

კიდევ რა სიურპრიზს შემოგვთავაზებს ყალმუხეთის ახალგაზრდა პრეზიდენტი? არ არის გამორიცხული, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ცხადია, თუკი მოისურვებს, ეს დაუდეგარი კაცი, რაკი სივრცე აღარ ეყოფა, მსოფლიო სპორტის მამამთავრადაც მოგვევლინოს. ეს როგორ? აი ისე— ჯერჯერობით ეს ვარაუდია, მხოლოდ. ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

ჭადრაკი

საიდან მოდიხარ, საით მიდიხარ ვესელინ?

ახალი ვარსკვლავი საჭადრაკო სამყაროში

ბულგარელი დიდოსტატი ვესელინ ტოპალოვი, რომელმაც ამას წინათ მსოფლიო ჩემპიონ ანატოლი კარპოვთან ყაიმით (3:3) დაამთავრა მატჩი სწრაფ ჭადრაკში, 20 წლისაა. მას მეტად მაღალი რეიტინგი აქვს და ექსპერტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ახლა მისთვის მთავარია მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობა. დღეს კი გავეცნოთ რამდენიმე საყურადღებო ნაწყვეტს ტოპალოვის ერთ-ერთი ინტერვიუდან.

● **ვესელინ, მიეკუთვნებით ელიტურ მოჭადრაკეებს?**

— მე არა მაქვს ისეთი ბრწყინვალე წარმატებები, როგორიც ივანჩუკს, ანანდს, კრამნიკს, კამსკის, სალოვს, გელფანდს... ყველა როდი მიაკუთვნებს თავს დიდ მოჭადრაკეებს. ძალიან ცოტანი არიან ისინი, ვინც თავიდანვე ყველა ტურნირს ზედიზედ იგებდა. ალბათ, ცოტა უნდა მოვიცადო.

● **მაგრამ შენ ხომ ყველაზე უფრო პრესტიჟულ ტურნირებში გიწვევენ...**

— ჩემი კარგი რეიტინგის გამო (რსა-ს კლასიფიკაციით — 2706). ბევრს ახსოვს, რომ ბოლო ოლიმპიადაზე კასპაროვს მოვუგე.

ტოპალოვის მწვრთნელი სილვიო დანაილოვი: „ჩემი აზრით, ვესელინი ახლა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა დიდოსტატია. ამაში დარწმუნებული ვარ და ყოველთვის ვახსენებ, იგი, უბრალოდ, ვალდებულია დიდი წარმატებები რომ ჰქონდეს.

● **როცა სილვიო გეუბნება, რომ ნიჭიერი ხარ, ალბათ, გეცინება?**

— არა, რატომ? ამას მე ისე ვუყურებ, როგორც ნორმალურს. აი, ანანდი ყოველთვის ამბობს, რომ, ეტყობა ყველაზე დიდი ტალანტია, კასპაროვსაც კი ალემატება. მე მგონია, რომ ყველაზე უფრო მაღალ დონეზე მარტო ტალანტით ფონს ვერ გახვალ — საჭიროა სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ღირსებებიც გქონდეს. მაგალითად, მტკიცე ხასიათი, უიმისოდ საერთოდ ვერაფერს გახდები. ავილოთ, მაგალითად, იგივე ანანდი, ყოველთვის ნიჭიერად ითვლებოდა, პერსპექტიულად, მაგრამ თავის მწვერვალს მხოლოდ 25-26 წლისამ მიაღწია. ამ ასაკში კარპოვიც მსოფლიო ჩემპიონი იყო და კასპაროვიც. ანანდს რაღაცა აკლია. აი, კამსკი კი პირიქით: არ შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებული ბუნებრივი ნიჭი აქვს, მაგრამ ძალიან კი დაწინაურდა...

● **გვახსოვს, ამბობდი: თუკი გინდა ნამდვილად გაიგო, რა ძალა და სისუსტე გაქვს, უნდა შეხვდე დიდ მოჭადრაკეებს კარპოვს, კასპაროვს... შენ უკვე გაქვს მსოფლიო ჩემპიონებთან შეხვედრის საკმაო გამოცდილება. რა დაასკვენი?**

— ჩემი აზრით, კარპოვთან და კასპაროვთან 5-5 შეხვედრაში ბევრი რამ ვისწავლე. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ჩემი თამაში კარდინალურად გაუმჯობესდა. მათთან თამაში სასიამოვნოა, საინტერესოც, მაგრამ ორმაგად რთულია.

● **ერთ-ერთმა მათგანმა უცბად პატარა მატჩი თუ შემოგთავაზა?** (ეს მატჩი უკვე შედგა — რედ.).

— ულაპარაკოდ დავთანხმდები.

● **მაგრამ ამახობაში „რეიტინგ-ლისტში“ ქულებს რომ დაკარგავ?**

— რატომ მაინცდამაინც მე უნდა დავკარგო? ასეც რომ იყოს, არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს — შეიძლება მათგან ბევრი რამის შეთვისება, ეს კი დაკარგულ ქულებზე უფრო მნიშვნელოვანია. მაგრამ ასეთი მატჩის უფლება რომ მიიღო, უნდა იბრძოლო.

● **შეკითხვა მწვრთნელ დანილოვს: რას იტყვით ვესელინის ხასიათზე?**

— მინდა, რომ იგი უფრო სპორტული იყოს. მაგრამ ყველა ადამიანი რაღაცით გამოუსწორებელია. რომ შეიძლებოდეს ტოპალოვის საჭადრაკო ტალანტის, კამსკის შრომისუნარიანობისა და ლოტიეს ამბიციურობის გაერთიანება, მივიღებდით იდეალურ მოჭადრაკეს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა.

«კასპაროვს ხელს არ ჩამოვართმევ»

თებერვალში ესპანეთის ქალაქ ლინარესში დაიწყება შემადგენლობით წლის ყველაზე უფრო ძლიერი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. ასე იყო შარშან, ასე იყო შარშანწინ!..

ამასთან, როგორც ესპანური პრესა იუწყება, მასში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს მსოფლიო ჩემპიონმა ფიდეს ვერსიით ანატოლი კარპოვმა და მისმა მომავალმა მეტოქემ მსოფლიო პირველობის მატჩში, ახალგაზრდა დიდოსტატმა გატა კამსკიმ.

როცა ტურნირის ორგანიზატორს, ცნობილ მეცენატ ლუის რენტეროს ეკითხებიან, რით უნდა აიხსნას ეს უარი — კარპოვი და კამსკი ხომ სისტემატურად მონაწილეობდნენ ამ ასპარეზობაში, მეცენატი მიუთითებს... კასპაროვზე.

— რატომ?

ფაქსში, რომელიც კამსკიმ რენტეროს გაუგზავნა, ნათქვამია, რომ მას არ შეუძლია ხელი ჩამოართვას კასპაროვს, მასთან ერთ საჭადრაკო მაგიდას მიუჯდეს „მას არ ვპატიებ მის ჩარევას მსოფლიო პირველობაზე კარპოვთან ჩემს მატჩში, ყველა იმ ინტრიგას, იმ ლაფსა და ჭუჭყს სისტემატურად რომ მისვრიდა“.

რენტეროს კარპოვმაც გაუგზავნა წერილი. იგი წერდა, რომ კასპაროვმა ჯერ თანხმობა განაცხადა ეთამაშა სუპერტურნირ „ლინარეს 95“-ში, შემდეგ კი ბოიკოტი გამოუცხადა მას. კარპოვმა განაცხადა, რომ ადრე ლინარესში დიდი რაოდენობით იწვევდნენ ე.წ. „კასპაროვის კაცებს“ (ისინი საჭიროების შემთხვევაში ქულას აძლევდნენ მას). ახლა, როცა არც კარპოვი ითამაშებს და არც კამსკი, საჭირო არ არის ასეთი პირების მოწვევა. დეე, ისეთ დიდოსტატებს მოუყარონ თავი, რომლებსაც პატიოსან, ღია ბრძოლას გაუმართავენ.

დიდი ინტრიგები საჭადრაკო სამყაროში გრძელდება. როგორც ესპანეთის გაზეთი „მუნდო“ წერს, კასპაროვისა და კარპოვის დაპირისპირება, შეიძლება ითქვას, ყველაზე მწვავეა, მაგრამ ერთადერთი ნამდვილად არ არის. ამ გაზეთთან ინტერვიუში კარპოვმა განაცხადა, რომ კამსკისთან მატჩის ადგილის ძებნაში მან ბევრი ქვეყანა მოიარა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სალვადორი, იუგოსლავია.. მთელ რიგ ქვეყნებში იყო პრეტენდენტის მამა რუსტემ კამსკიც, მაგრამ „კასპაროვის კაცებმა“ ყველგან ნამდვილი ბლოკადა მოუწყვეს.

მეტად საინტერესო ინტერვიუ მისცა იმავე „მუნდოს“ რუსტემ კამსკიმ. საყურადღებოა, რომ მას კარპოვისაც არ სჯერა. პრეზიდენტის მამის აზრით, კარპოვს სრულიადაც არ აძლევს ხელს ამ შეხვედრის ჩატარება, და, უბრალოდ, სხვების თვალის ასახვევად ლაპარაკობს ამდენს. „ჯატას თამაში არც კასპაროვს აინტერესებს და არც კარპოვს. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ მატჩი არ შედგება, ფიდე გამოაცხადებს კარპოვს მსოფლიო ჩემპიონად, შემდეგ კი იგი ე.წ. გამაერთიანებელ მატჩში შეხვდება კასპაროვს“.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მხოლოდ მოვუთანებით შევიტყობთ, აქვს თუ არა ამ ეჭვებს რაიმე რეალური საფუძველი. ზოგი მიმომხილველი ასახელებს ე.წ. გამაერთიანებელი მატჩის საორიენტაციო დროსაც — 1996 წლის გვიან შემოდგომას. მეორე მხრივ კი, საეჭვოა, რომ წლეულს კარპოვ-კამსკის მატჩის გამართვაც მოესწროს და გამაერთიანებლისაც დღეისათვის ხომ ისიც არ არის ცნობილი, რამდენ პარტიას ითამაშებენ კარპოვი და კამსკი, კიდევ რამე ხომ არ გადაელობება წინ ამ ისედაც რამდენჯერმე გადადებულ შეხვედრას.

ბიჭი თორელი

ჭადრაკი

ვ. კრამნიკი, კასპაროვზე, კარპოვზე, კამსკიზე...

მოსკოვის ჟურნალ „64“-ის კორესპონდენტმა რამდენიმე შეკითხვით მიმართა ვლადიმერ კრამნიკს, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლება. საუბარი აქტუალურ საჭადრაკო პრობლემებს შეეხებოდა:

● **რას იტყვით მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ?**

— არ ვიცი, შედგება თუ არა კასპაროვსა და კარპოვ-კამსკის გამარჯვებულს შორის „გამაერთიანებელი მატჩი“, თუმცა იგი მაინცდამაინც არც მაინტერესებს, რადგან ამ შეჯიბრებაში არ ვმონაწილეობ.

● **როგორ ფიქრობთ, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ვინმე შეძლებს კასპაროვის დამარცხებას?**

— კასპაროვი, რა თქმა უნდა, კასპაროვია, მაგრამ იმ დროისაგან განსხვავებით, როცა მსოფლიო ჩემპიონი კარპოვი იყო, უმაღლეს წოდებას ახლა გაცილებით უფრო მეტი რეალური პრეტენდენტი ჰყავს. თუკი რომელიმე მათგანი გააუმჯობესებს თავის საბრძოლო მზადყოფნას, მას საამისო შესაძლებლობა გაუჩნდება.

● **რას ფიქრობთ დღევანდელი კამსკის შესახებ?**

— მას ძალიან იშვიათად ვხვდები. საჭადრაკო სამყარო, სამწუხაროდ, ახლა ორ ბანაკადაა გაყოფილი, ტურნირებსაც ზოგჯერ რსა (პროფესიული საჭადრაკო ასოციაცია) აწყობს, ზოგჯერ — ფიდე. მე რსა-ს შეჯიბრებებში ვთამაშობ, კამსკი — ფიდეს ტურნირებში. არც კი მახსოვს, როდის ვითამაშეთ უკანასკნელად ერთად. ისე რომ, მის ახლანდელ მზადყოფნაზე ძალიან მიჭირს ლაპარაკი.

● **შემდგომ საზონათშორისო ტურნირიდან თქვენ კვლავ ჩაებმებით მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლაში?**

— რა თქმა უნდა. სხვანაირად ჭადრაკის თამაში უაზრობაა.

● **ასე კატეგორიულად აცხადებთ?**

— როცა ადამიანი რამდენიმე წლის განმავლობაში უმაღლესი კატეგორიის ტურნირებში თამაშობს, მას ასეთი ერთფეროვნება მოწყინდება ხოლმე. ჩემთვის ეს ტურნირები სხვა არა არის რა, თუ არა მსოფლიო პირველობისათვის მზადება.

● **დიახ, მაგრამ ძლიერი დიდოსტატების დიდ უმრავლესობას მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვების რეალური შესაძლებლობები არა აქვს.**

— საბედნიეროდ, მე მაქვს მიზანი, რომლისკენაც მივისწრაფვი.

● **რას იტყვით კარპოვის შესახებ?**

— კარპოვთან ერთად გამოვდიოდი დორტმუნდის საერთაშორისო ტურნირში (აქ კრამნიკმა პირველი ადგილი დაიკავა, კარპოვმა — მეორე), იგი თანაბრად და კარგად თამაშობდა, ამავე დროს, რა თქმა უნდა, გატა კამსკისთან მატჩის წინ ზოგავდა კიდეც ძალებს, არ იყენებდა შემდგომისათვის მომზადებულ სადებიუტო სისტემებს.

მოამზადა
გ. თორელმა.

ვახტანგ მუსელიანი:

უსამართლობა მალაპარაკებს თორემ, მკლავჭიდი ჩვენში რეფერენდუმის გარეშეც კარგად იციან

ექვსი წელი თავს ვარიდებდი ამ თემაზე საჯაროდ საუბარს, მაგრამ ამჯერად არ შემიძლია ჩემი გულისტკივილი არ გაგიზიაროთ. მოგეხსენებათ, ამ მოკლე დროის განმავლობაში, სპორტის ერთ-ერთ ყველაზე ძალისმიერ და სანახაობრივ, ამერიკელთა ეროვნულ სახეობაში, მკლავჭიდში, ექვსჯერ მოვიპოვეთ ზედიზედ ევროპის გუნდური პირველობა, მსოფლიოს ჩემპიონატებზე ორჯერ მეორე, შარშან კი მოვიგეთ რა ცხრა ოქროს მედალი შვეციაში, გუნდური პირველობაც დავისაკუთრეთ. ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა რანგის ტურნირებზე 200-ზე მეტი მედალი მოვუტანეთ საქართველოს. ყველამ იცით, წლის ბოლოს, ცალკე ქართველი ჟურნალისტები, ცალკე სპორტის დეპარტამენტი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სპეციალისტები ერთად ასახელებენ წლის საუკეთესო გუნდს, სპორტსმენს, ზოგჯერ მწვრთნელსაც, ორჯერ ზაურ ცხადაძე შეიყვანეს საუკეთესო ათეულში. ეს მაშინ, როცა ამ სპორტსმენს, ბოლო ექვს წელიწადში ევროპის 6 და მსოფლიოს ჩემპიონატის 4 ოქროს მედალი აქვს მოპოვებული პროფესიონალთა შორის. სხვა ჩემპიონებზე არაფერს ვამბობთ. როცა ვინტერესდებოდი თუ რაში იყო საქმე, მეუბნებოდნენ — მკლავჭიდი ოლიმპიური სახეობა არ არისო. რა თქმა უნდა, ოლიმპიურ სპორტს განსაკუთრებული ხელშეწყობა სჭირდება, რასაც საქართველოში აკეთებენ კიდეც. მაგრამ სპორტი ოლიმპიადით არ იწყება და არც მთავრდება. მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით აშშ-ში, ოლიმპიური სპორტი მთლიანად ეროვნული სპორტის მცირე ნაწილს შეადგენს. იქ სპორტის სახეობებს სხვა კრიტერიუმებით აფასებენ. არსებობს პროფესიული სპორტის სამყაროს ინდუსტრია, რომელსაც მილიარდობით დოლარის შემოსავალი მოაქვს. აქ თანაბარი უფლებებით სარგებლობენ სპორტის ე.წ. „ოლიმპიური სახეობები“ და „არაოლიმპიურები“. პროფესიონალები თავიანთი დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობენ. მითხარით (მე ვიტოვებ ამ კითხვის დასმის უფლებას), რომელ ოლიმპიურ მედალზე ნაკლებად პრესტიჟულია მსოფლიოს ჩემპიონობა პროფესიულ კრივში, კალათბურთში, ჩოგბურთში, ბეისბოლში, ფეხბურთში. ანდა, ე.წ. არაოლიმპიურ „ფორმულა-1“-ში, ამერიკულ ფეხბურთში, რაგბიში, გოლფში, კარატეში, ათლეტურ სამჭიდში და ა.შ. მათი წარმატებები მითხარით რატომაა ნაკლებად საამაყო და რით არ არის დასაფასებელი? საპრიზო ფონდებზე აღარაფერს ვამბობთ. დღეს მოვლენებს ახლებურად უნდა შევხედოთ, სპორტში მთავარია გამარჯვება და ფულის მოგება. აი, რით ცხოვრობს დღეს მსოფლიო სპორტი.

საჭიროა და სახელმწიფო აუცილებლად უნდა დაეხმაროს ოლიმპიურ მოძრაობას, სპორტს, მაგრამ სრულიად გაუმართლებელია სპორტის ზოგიერთი სახეობის დისკრიმინაცია იმის გამო, რომ ის ოლიმპიური არ არის. არ შეიძლება ერს უთხრა, რომ სპორტის ერთ სახეობაში გამარჯვება მეტია მეორეზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ის პრესტიჟული სახეობაა. სწორედ გამიგეთ, რამე მატერიალურს არავისგან ვითხოვ, უბრალოდ, მინდა ყველას დამსახურების, გამარჯვების მიხედვით მიეზღოს პატივი, თუნდაც გამოკითხვების დროს. ანდა, ცალკე შედგეს საუკეთესო სპორტსმენთა ათეული ოლიმპიელთათვის. ცალკე არაოლიმპიელთათვის და პროფესიონალებისათვის. მე უსამართლობა მალაპარაკებს, თორემ ქართველებმა, ყოველგვარი გამოკითხვის გარეშეც კარგად იციან თუ რა დამსახურება მიუძღვით მკლავჭიდელებს ერის წინაშე. ამას თავის საქებრად არ ვამბობ. როცა ამ სამი-ოთხი წლის წინ საქართველოში სპორტი ლამის სრულიად ჩაკვდა და ქართველები ერთმანეთის სამარცხვინო ჟლეტით იყვნენ გართულნი, ქვეყანაში კი ქაოსი სუფევდა, მხოლოდ მკლავჭიდმა არ დახარა ძირს ქართული სპორტის გამარჯვებების დროშა. ის კი, რაც 1995 წელს მოხდა, ყველაფერს გადააჭარბა. მოსკოვში, ცენტრალურ ცირკში, ევროპის ჩემპიონატზე შვიდი ოქროს მედალი მოვიპოვეთ და გუნდური ჩემპიონობაც ჩვენ დაგვრჩა. მეორე ადგილზე რუსეთი გავიდა, სადაც გუნდში უმრავლესობა ჩრდილო-კავკასიელი იყო. სხვა გუნდებზე აღარაფერს ვამბობ. პარალელურად ტარდებოდა ტურნირი „ოქროს დათვი“. შემდეგ ჩვენ ამ ტურნირში გამარჯვებულ აშშ-ს, კანადისა და დანარჩენი მსოფლიოს ნაკრებს შევხვდით და... ისინიც პირწმინდად დავამარცხეთ. სულ 19 მედალი მოვიპოვეთ, თუმცა გუნდს რამდენიმე წამყვანი ათლეტი აკლდა.

სან-პაულოში მსოფლიო ჩემპიონატზე ბილეთების უქონლობის გამო ვერ წავედით. მაგრამ, რაც მოვიგეთ, არაა საკმარისი? რომელმა ნაკრებმა შეძლო ევროპის გუნდური პირველობის მოგება 1995 წელს ან, თუნდაც, წინა წლებში? ტელევიზიამ და პრესამ ეს მოვლენა გააშუქა. არა გვგონია, ვინც გამოკითხვაში მონაწილეობდა, მკლავჭიდელთა წარმატებები „ვერ გაიხსენა“. კარგით, მკლავჭიდი ოლიმპიური სახეობა არ არის, მაშინ მითხარით, როგორ მოხვდნენ გამოკითხულთა სიაში არაოლიმპიური სახეობების წარმომადგენლები. სხვათა შორის, ათეულში დასახელებული სპორტსმენების უმრავლესობა, მე ხაზს ვუსვამ — უმრავლესობა! მხოლოდ ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორები არიან.

თუ ყველამ ყველაფერი კაგად ვიცით, მაშინ რა, შეგნებულად ვუმალავთ ქართველებს, მათი სისხლისა და ხორცის დამსახურებას, არ ცნობთ მათ მიერ მოპოვებულ მედლებს? რატომ, რა უფლებით? ძალების არაადამიანური დაძაბვით საქართველოს ჩვენ გამარჯვება მოვუპოვეთ (აბა სცადეთ მოსკოვში გამარჯვება), თქვენ კი „ივიწყებთ“ ამ გამარჯვებას? ჩემთვის მაინც გაუგებარი რჩება, რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობენ ასეთ რეფერენდუმებში. არ გვაღიარებთ? რა ვქნათ, ძალას ვერავის დავატანთ. ერთი კია: არ გვეეჭვება, რომ მომავალშიც ჩვენ ჩვენივე საქმე წარმოგვაჩენს. გულშემატკივრებმა კი აუცილებლად უნდა იცოდნენ სიმართლე.

ვახტანგ მუსელიანი,
საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი,
საქართველოს ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი.

რედაქციისაგან:
წერილის პათოსი და პოზიცია შეიძლება ზოგიერთს სადავოდ მოეჩვენოს, რასაც ავტორი თავადაც მოელის. თუ ვინმეს გაუჩნდება გამოხმაურების, ავტორის პოზიციის გაბათილების ან განსხვავებული აზრის გამოთქმის სურვილი, რედაქცია მზადაა ადგილი დაუთმოს გაზეთის ფურცლებზე.

ჩოგბურთი ილიმება

ყველაფერი ჯიმ კონორსზე

● ისე წავიდა ჯიმ კონორსი სპორტიდან, რომ არავინ იცის ვინ, როდის და რატომ დაარქვა მას ზედმეტსახელად „ჯიმბო“. და აი ახლახან ამერიკელი ჩოგბურთელის მემატიანემ ბად კოლინსმა ამომწურავი პასუხი გასცა ამ საიდუმლოებას. „ჯიმბო“ ჯიმ კონორსს შეარქვა თურმე... დედამისმა, გლორია კონორსმა.

ეს მოხდა 1973 წელს უიმბლდონის ტურნირზე. ჯიმი ბობი ჰევიტს ხვდებოდა. ქალბატონი გლორია, რომელიც ესწრებოდა ამ ორთაბრძოლას, ბუნებრივია ღელავდა და ხშირად ყვიროდა. „მიდი ჯიმბო, არ დაიხიო“. აზარტში შესული ქალბატონი რამდენიმეჯერ გააფრთხილეს, რომ ეს არ არის სენტ-ლუისი და ყველა, მათ შორის სპორტსმენის მშობელიც, ვალდებულია დაემორჩილოს წესებს. გლორია ბოლოს და ბოლოს დამშვიდდა, მით უფრო, რომ მისმა ვაჟიშვილმა მოიგო შეხვედრა, მაგრამ ეს უცნაური სახელი „ჯიმბო“ მთელი ცხოვრების მანძილზე შერჩა კონორსს.

● ამბობენ, რომ ბედისწერას კაცი ვერსად ვერ გაექცევა. 17 წლის შემდეგ ჯიმი კონორსს მოუვიდა ის, რაც გადახდა გამოჩენილ ავსტრალიელ ჩოგბურთელს კენ როზუოლს. 1974 წელს, როცა კონორსი 20 წლისა იყო, ბრწყინვალედ მოუგო ორჯერ უკვე ასაკში შესულ, 39 წლის კენ როზუოლს. პირველად ავსტრალიელი დამარცხდა უიმბლდონზე 1:6, 1:6, 4:6, მეორედ კი აშშ-ს ღია ჩემპიონატზე — 1:6, 0:6, 1:6. გავიდა 17 წელი და 39 წლის ჯიმი კონორსმა ზუსტად ასეთივე ანგარიშებით წააგო ერთი შეხვედრა უიმბლდონზე, მეორე კი აშშ-ს ღია პირველობაზე.

● კონორსი ბევრი საჩოგბურთო რეკორდის ავტორი გახლავთ. ერთ-ერთი მისი რეკორდი ისიცაა, რომ 21-ჯერ არის ნათამაშევი აშშ-ს ღია ჩემპიონატის მეოთხედფინალში. სულ კი ეს ზღუდე „დიდი სლემის“ ტურნირებში კონორსს 41-ჯერ აქვს გადალახული.

ლუისი, უბრალოდ, მაღიზიანებდა, მაგრამ გარკვეულ სტიმულს მაძლევდა სარეკორდო ნახტომისთვის! — ამბობს მაიკ პაუელი

ხუთი წლის წინ ტოკიოში

მაიკ პაუელი. აშშ, მძლეოსნობა.
დაიბადა 10.11. 1963 ფილადელფიაში.
ცხოვრობს და ვარჯიშობს ლოს-ანჯელესში.
სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1975 წელს.
თავდაპირველად ხტებოდა სიმაღლეზე.
სიგრძეზე ხტომა დაიწყო 20 წლისამ, 1983 წელს.
შედეგები წლების მიხედვით: 83 — 8,06 მ; 84 — 7,98 მ; 85 — 8,17 მ; 86 — 8,04 მ; 87 — 8,27 მ; 88 — 8,49 მ; 89 — 8,49 მ; 90 — 8,66 მ; 91 — 8,95 მ. (მსოფლიო რეკორდი).

ტოკიოს მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც 1991 წელს გაიმართა, უკვე დიდი ხანია იგონებენ, როგორც ტურნირს, რომელშიც მაიკ პაუელმა ფენომენალური რეკორდი წაართვა ბობ ბიმონს. ამიტომ იტალიელ ჟურნალისტთან საუბარი, უმთავრესად ხუთიწლისწინანდელ ამბებს ეხებოდა.

● ადრე თუ გიფიქრიათ მსოფლიო რეკორდზე?

— მიფიქრია კიდეც და ბევრჯერ წარმომიდგენია თავი რეკორდსმენის როლში. სხვათა შორის, სარეკორდო ნახტომი არაერთხელ შემისრულებია გონებაში, დამინახავს ჩემს მიერ დაშვებული შეცდომები. ასე რომ, რეკორდისათვის არ იყოო მზად, რომ ამბობენ, არ არის სწორი.

● ტოკიოშიც ასეთი გუნება-განწყობით მიემგზავრებოდით?

— ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ გამარჯვებულის შედეგი მსოფლიო რეკორდის დონეზე უნდა ყოფილიყო.

● კარლ ლუისმა იმ დღეს თავისი რეკორდი გააუმჯობესა — 8.91 მეტრზე გადახტა. ხომ არ დაგაფრთხოთ მისმა ნახტომმა?

— არა. მე მისგან ველოდი ასეთ შედეგს, ამიტომაც მტკიცედ გავაფრთხილე საკუთარი თავი: მაიკ, შენ უფრო შორს უნდა გადახტე! ჩემს შესაძლებლობებში ერთი წუთითაც არ შემიტანია ეჭვი. მეოთხე, წარუმატებელი ცდის შემდეგ საბოლოოდ ვირწმუნე, რომ დღეს უსათუოდ შორს გადავხტებოდი. ლუისი, უბრალოდ, მაღიზიანებდა, მაგრამ გარკვეულ სტიმულს მაძლევდა სარეკორდო ნახტომისთვის.

● თქვენ, თუ არ ვცდებით, უკმაყოფილო იყავით, როცა მსაჯმა არ ჩათვალა მეოთხე ნახტომი?

— მე ცოტათი ვიარტისტე, თორემ კარგად ვიცოდი, რომ საკონტროლო ხაზს გადავაბიჯე.

● კარლ ლუისი 20 წელი „დასდევდა“ ბიმონის რეკორდს, თქვენ კი... გაუსწარით მას და მშრალზე დატოვეთ. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ამაში არის რაღაც უსამართლობა?

— ლუისს თქვენი თანაგრძნობა არ სჭირდება. მან უკვე კარგა ხანია დაამტკიცა, რომ დიდ ათლეტია. იგი ჩემსავით ბედნიერი უნდა იყოს.

● რამ განაპირობა წარმატება სარეკორდო ნახტომში?

— ტოკიოში საოცრად ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნა, თანაც რეკორდისთვის იდეალური პირობები იყო: ყველაზე „სწრაფი ბილიკი“ გამორბენისათვის, ხელსაყრელი ატმოსფერული პირობები, მაყურებლების თანაგრძნობა და უძლიერესი კონკურენტები. ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩვენ სამივეს გვქონდა ბიმონის რეკორდის გაუმჯობესების შანსი. მე სხვებზე მეტად გამიმართლა...

● სამივეს გვქონდა შანსიო, რომ განაცხადეთ, ვის გულისხმობთ?

— კარლ ლუისს, მაიკ პაუელს და ლარი მირიკსს. ლუისი და მირიკსი ჩემი კერპები იყვნენ. სიგრძეზე ხტომას მე მათგან ვსწავლობდი.

● ხომ არ შეიძლება იმის თქმა, რომ თქვენ მაშინ ფსიქოლოგიური გამარჯვებაც მოიპოვეთ?

— ეს, ალბათ, მართლაც ასე არის. აშშ-ს ჩემპიონატის შემდეგ საშინელ გუნებაზე ვიყავი. მაშინ ლუისმა ბოლო ნახტომში ერთი სანტიმეტრით მაჯობა. იცით რას განვიცდიდი ყველაზე მეტად? იმას, რომ ლუისი ვერც ერთხელ ვერ დავამარცხე, თუმცა, ამის საშუალება ბევრჯერ მქონდა.

● ლუისი თუ იყო მზად სარეკორდო ნახტომისთვის?

— იგი ყოველი გამოსვლის წინ ბიმონის რეკორდზე ფიქრობდა. ასე რომ, მზად არ იყოო რომ ვთქვა, სწორი არ იქნება. ჩემი და ლუისის პაექრობა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შეჯიბრებას ჰგავდა. გამარჯვებას მიაღწევდა ის, ვინც მეტოქეს ნოკაუტში ჩააგდებდა. იმ საღამოს ტოკიოში ლუისი ნოკაუტში აღმოჩნდა და ეს იყო მთავარი.

● როგორ ემზადებოდით საერთოდ ჩემპიონატისთვის და კერძოდ მსოფლიოს რეკორდისთვის?

— ზაფხულის განმავლობაში მძლეოსნები იღლებიან ხოლმე. მე ყოველმხრივ ვცდილობდი ტოკიოსათვის შემენახა ძალა და მივაღწიე კიდეც ამას, რაშიც, რა თქმა უნდა, ჰიდრავლიკური ტრენაჟორები დამეხმარა. მათი საშუალებით შევინარჩუნე სისწრაფეც და ხტომების სპეციფიკაც.

● როგორც ზემოთ აღნიშნეთ, გამორბენის ბილიკი საგანგებოდ ხარისხიანი ყოფილა, ნუთუ ამას ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს?

— ტოკიოში ბილიკი იდეალური იყო, უკეთესი, ვიდრე ჩვენი, ინდიანაპოლისის ბილიკია. ბილიკი საჭირო აჩქარების საშუალებას იძლევა, ამას კი, მოგეხსენებათ, დიდი მნიშვნელობა აქვს.

● პირველი ნახტომების შემდეგ თქვენ საკმაოდ ღელავდით?

— მართალია. არა მარტო ვღელავდი, სუნთქვაც მიჭირდა. პირველი ნახტომი სწორედ ამიტომ გავაფუჭე (7,85 მ. რედაქცია). ამის შემდეგ შევეცადე დამერწმუნებინა თავი, რომ სანერვიულო არაფერი მქონდა და არ იყო საჭირო თავის გაგიჟება.

● მაგრამ ლუისს ამჯერადაც ხომ შეეძლო თქვენი შედეგის გაუმჯობესება? სად იყო იმის გარანტია, რომ ბოლო ნახტომში პაუელის რეკორდს ერთ სანტიმეტრს არ წაამატებდა?

— თქვენ მართალი ხართ. ამის გარანტიას ვერავინ მომცემდა. მე კარგად ვიცოდი, რომ ლუისი ჩემი დამარცხების რეალურ გეგმებს აწყობდა. მაგრამ იყო რაღაც უმნიშვნელო იმედი იმისა, რომ ამჯერად მაინც ვერ მიაღწევდა მიზანს. თუმცა, გულახდილად უნდა გითხრათ, გულის სიღრმეში მეშინოდა 9 მეტრზე არ გადამხტარიყო. ლუისი შეუდარებელი მებრძოლი იყო.

● თუ გქონიათ რაიმე ურთიერთობა ბობ ბიმონთან? ან რას ფიქრობთ მასზე?

— მას რომ 28 წლის წინ მეხიკოში ფანტასტიკური შედეგი არ ეჩვენებინა, დღევანდელი ბრძოლაც არ იქნებოდა. ტოკიოში მოვიგებდი ოქროს მედალს, რეკორდსაც დავამყარებდი, მაგრამ მას ასეთი მნიშვნელობა არ ექნებოდა, ამიტომ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ტოკიოს მოვლენების ერთ-ერთი თანაავტორი ბიმონიც გახლავთ: მე მას სიამოვნებით ჩამოვართმევდი ხელს მაშინ, იქ რომ ყოფილიყო, და მადლობასაც ვეტყოდი.

● როგორც ამბობენ, ადრე, თქვენი სპეციალობა სიმაღლეზე ხტომა იყო. მართალია?

— სკოლაში კალათბურთს ვთამაშობდი. მერე სიმაღლეზე დავიწყე ხტომა. ჩემი საუკეთესო შედეგი იყო 2,19 მეტრი. ერთხელ კოლეჯის ინტერესებისთვის სიგრძეზე ხტომა მომიხდა. პირველსავე ცდაზე 8 მეტრი და 6 სანტიმეტრი დავძლიე. ამ ნახტომმა გადაწყვიტა ჩემი მომავალი. ეს მოხდა 1983 წელს.

● არ დაგვავიწყდება თქვენი სახე და გამომეტყველება ლუისის ბოლო ნახტომის დროს.

— გული კინაღამ ამოვარდა საგულედან, სანამ დიქტორის ხმას გავიგებდი. ჩემმა რეკორდმა არსებობა ხომ ლუისის ბოლო ნახტომის შემდეგ დაიწყო? არადა, ამ კაცისაგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი.

● ცხრა მეტრზე თუ აპირებთ გადახტომას?

— ღმერთმა ხტომის ნიჭი მომცა და დანაშაული იქნება ბოლომდე არ გამოვიყენო იგი. რეკორდზე ფიქრი 33 წლის კაცსაც შეუძლია. თუ შესამჩნევად გაზრდის გარბენის სისწრაფეს.

● როგორი ურთიერთობა გაქვთ ლუისთან?

— ცხოვრებაში მეგობრები არ ვყოფილვართ. ხტომის სექტორში კი... დაუძინებელი მტრები კი არა, მეტოქეები ვიყავით.

სურათზე: მაიკ პაუელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიშელ პლატინი — ფრანგული ფეხბურთის კორიფე

იშელ პლატინი ისტორიაში პირველია, რომელმაც სამჯერ ზედიზედ მოიპოვა ევროპის პირველი მოთამაშის ჯილდო — „ოქროს ბურთი“.

პლატინი წარმოშობით კორსიკელია, დაიბადა 1955 წლის 25 აპრილს. თამაში დაიწყო „ნანსში“ (1972-78, საფრანგეთის პირველი დივიზიონის მატჩებში — 1973 წლიდან). შემდეგ გამოდიოდა „სენტ-ეტიენში“ (1978-82), ხოლო 1982 წლიდან ტურინის „იუვენტუსის“ ფეხბურთელი იყო. 1977 წელს აღიარეს საფრანგეთის №1 ფეხბურთელად და №1 სპორტსმენადაც, რაც ძალზე იშვიათი მოვლენაა. თამაშობდა საფრანგეთის ჯერ ყმაწვილების, შემდეგ ჭაბუკთა ნაკრებში, ოლიმპიურ გუნდში. 1978 წელს არცთუ ისე წარმატებით ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატში, მაგრამ, საყოველთაო აზრით, ბრწყინვალე იყო მომდევნო მსოფლიოს პირველობაზე და ევროპის პირველობაზე 1984 წელს. შესანიშნავი დირიჟორი, საჯარიმო დარტყმების უბადლო ოსტატი, 70-იანი და 80-იანი წლების ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი.

საინტერესოა, რომ „ფრანს ფუტბოლის“ კონკურსებში პლატინი მართლაცდა უდიდესი უპირატესობით, დამაჯერებლად იმარჯვებდა. საკმარისია, აღინიშნოს, რომ 1983 წელს 110 ქულა მოაგროვა, მეორე ადგილზე გასულმა შოტლანდიელმა დალგლიშმა კი... 26! 1984 წელს პლატინის 130 შესაძლებლიდან 128 (!) ქულა ერგო. მხოლოდ ერთმა შვეიცარიელმა ჟურნალისტმა მასზე მაღლა დააყენა ტიგანა, პორტუგალიელმა კი — რაში. 1985 წლის კონკურსში პლატინიმ 127 ქულა მოაგროვა, მეორე ადგილზე გამოსულმა დანიელმა ელკიაერ-ლარსენმა კი — 71.

ახლა კი რამდენიმე ნაწყვეტი პლატინის ერთ-ერთი ინტერვიუდან.

● **დაგვისახელეთ თუ შეიძლება ყველა დროის მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელები.**

— პირველი, ყოვლად უკონკურენციოდ, პელე. მომდევნო ადგილებს მივაკუთვნებ კრუიფს, გერდ მიულერს, ნეტცერს, ბეკენბაუერს.

● **ხშირად გადარებდნენ მარადონას. იტალიელი ჟურნალისტები ორად გაიყვნენ...**

— ჩვენ სხვადასხვა ამპლუის ფეხბურთელები ვიყავით, სხვადასხვა ფუნქციებს ვასრულებდით. ამიტომ შედარება უადგილოა. აი, ჩოგბურთელები რომ ვყოფილიყავით, მაშინ უფრო იოლი იქნებოდა იმის გარკვევა, ვინ ძლიერი იყო და ვინ სუსტი.

● **ხომ არ გამოყოფდით რომელიმე მატჩს თქვენი საფეხბურთო კარიერიდან?**

— ეს გახლდათ საფრანგეთისა და გფრ-ს ნაკრებების შეხვედრა მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატში, სევილიაში ფორმალურად გერმანელებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ამ მატჩს ფრანგების მიღწევად და მოგებად ვთვლი. იგი საფრანგეთის ნაკრების თითოეული მოთამაშისათვის დიდი მოვლენა გახლდათ.

● **რა განსხვავებაა იტალიისა და საფრანგეთის ფეხბურთს შორის?**

— იტალიის ჩემპიონატში თამაში უფრო დაცვითი ხასიათისაა — გოლს არ გავუშვებთ, ესე იგი, თამაშს არ წავაგებთ და ცხრილში ქულას ჩავიწერთ. ფრანგული გუნდები შეტევისთვის მიისწრაფვიან, უფრო ღია ფეხბურთს თამაშობენ.

● **როცა საფრანგეთი დატოვეთ, რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც ტურინის „იუვენტუსი“?**

— მინდოდა საფრანგეთთან ახლოს ვყოფილიყავი, ისე კი ბევრი კლუბისაგან მქონდა მიწვევა.

● **თქვენ ფეხბურთთან უამრავი კარგი მოგონება გაკავშირებთ. ყველაზე უსიამოვნო მოგონება?**

— ბრიუსელის ტრაგედია, საშინელი დღე, რომლის დავიწყება ყოვლად შეუძლებელია.

მას შემდეგ, რაც პლატინიმ თამაშს თავი დაანება, იგი ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე, არც მეტი, არც ნაკლები, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს. ხომ არ იყო ეს გარკვეული ავანტიურიზმი საფრანგეთის ფეხბურთის მესვეურთა მხრიდან? ამ დროს სამფეროვნები ევროპის 1992 წლის ჩემპიონატისათვის მზადებას იწყებდნენ. დასაწყისში მათ პლატინის ხელმძღვანელობით გასაოცარი წარმატებები ჰქონდათ — შესარჩევ ტურნირში ყველა შეხვედრა მოიგეს და შვეციაში ხარზეიმით გაემგზავრნენ. სინამდვილე გაცილებით უფრო მწარე გამოდგა. ფრანგებმა ფინალში აშკარად სუსტად ითამაშეს და პლატინიმ... გადადგომა ამჯობინა.

ახლა იგი მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელია.

გივი თორელი

● „**ბოკა ხუნიორსის**“ (არგენტინა) მწვრთნელმა კარლოს ბილარდომ, რომელიც ადრე ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს ხელმძღვანელობდა, ევროპაში მეუღლესთან ერთად დასასვენებლად წასულ კლაუდიო კანიჯას ულტიმატუმი წაუყენა სასწრაფოდ დაბრუნების თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მწვრთნელი იმუქრება, რომ მკაცრ სანქციებს მიმართავს.

● **იტალიის** ორმა პოპულარულმა კლუბმა „ლაციომ“ (რომი) და „ინტერმა“ (მილანი) საშობაო არდადეგები ლივიაში მოაწყვეს. იქ მათ რამდენიმე ამხანაგური შეხვედრაც ჩაატარეს და, ბუნებრივია, ყველა მოიგეს.

● **უკრაინის** ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტის გადაწყვეტილებით ეროვნული ნაკრების ახალ მწვრთნელად დაინიშნა იოჟეფ საბო, მის მოადგილედ კი ლეონიდ ბურიაკი.

● **წლინახევრის** შესვენების შემდეგ ფეხბურთს დაუბრუნდა 35 წლის გერმანელი „ვარსკვლავი“ პიერ ლიტბარსკი. 2-წლიან კონტრაქტში იაპონიის პროფესიული ლიგის კლუბ „ბრუმელ სენდაისთან“ იგი მიიღებს 500 ათას დოლარს.

● **არგენტინის** საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულია იტალიის „ფიორენტინის“ ფორვარდი გაბრიელ ბატისტუტა, არგენტინის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად კი ურუგვაელი ენცო ფრანჩესკოლი, რომელმაც დიდად გაუსწრო დიეგო მარადონას.

● **ევროპის** ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგება, 81 წლის სერი ბერტ მილიჩიპი, რომელიც 15 წლის განმავლობაში მეთაურობდა ამ ორგანიზაციას.

● **გლაზგოს** ცნობილი სტადიონის „ჰემპდენ პარკის“ რეკონსტრუქციისათვის ბრიტანეთის ეროვნული ლატარეის ფონდი გამოჰყოფს სესხს 23 მილიონი გირვანქა სტერლინგის ოდენობით.

● **გენუის** „სამპდორიისა“ და იტალიის ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარე, 35 წლის ვალტერ ძენგა წლევანდელი სეზონის დამთავრების შემდეგ არგენტინაში აპირებს გადასვლას. მასთან მოლაპარაკებას ამის თაობაზე, აწარმოებს ბუენოს-აირესის „რივერ-ბლეიტი“.

● **გერმანიის** ნაკრები ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ექვსი ამხანაგური შეხვედრის ჩატარებას აპირებს: პორტუგალიის, დანიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ჩრდილოეთ ირლანდიისა და ლიხტენშტეინის გუნდებთან.

● **ინგლისს** გადაწყვეტილი აქვს მიიპატიჟოს მსოფლიოს ჩემპიონატი 2006 წელს. მაგრამ, ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაცია წარმატებით გაართმევს თავს ევროპის წლევანდელ ჩემპიონატს.

● **იანვრის** ბოლო რიცხვებში ჰოლანდიის ნაკრებისა და „აიაქსის“ წამყვან მოთამაშეს, 22 წლის მარკ ოვერმარსს გაუკეთებენ მუხლის ოპერაციას. თამაშის განახლებას იგი შეძლებს მხოლოდ 6-8 თვის შემდეგ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოვერმარსმა უნდა გამოტოვოს ჩემპიონთა ლიგის დასკვნითი მატჩები და ევროპის ჩემპიონატი.

● **მადრიდის** „რეალის“ მთავარი ბომბარდირი ივან სამორანო აღარ განაახლებს კონტრაქტს კლუბთან, წარმოშობით ჩილელი, იგი აპირებს სამშობლოში დაბრუნებას და იქაურ „კოლო-კოლოში“ თამაშს.

● **ინგლისის** „მანჩესტერ იუნაიტედს“ სურს გადაიბიროს „მილანიდან“ იუგოსლაველი ზვონიმირ ბობანი. ამაში იგი გადაიხდის 4,5 მილიონ გირვანქა სტერლინგს. „ჩელსი“ კი მოლაპარაკებას აწარმოებს ჯანლუკა ვიალისთან („იუვენტუსი“).

● **იაპონიის** ერთ-ერთი კლუბი ბრაზილიის ეროვნული ნაკრებისა და „ბოტაფოგოს“ ფორვარდ ტულიოში 12 მილიონ დოლარს იხდის. აქედან 7 მილიონს მიიღებს „ბოტაფოგო“ და 5 მილიონს თავად ტულიო.

● „**სევილიას**“ განზრახული აქვს გაყიდოს თავისი ხორვატი ლეგიონერი, ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი დავორ შუკერი. ყველაზე ნაღდ მყიდველად მადრიდის „რეალს“ თვლიან.

● **ესპანეთის** პრესას მიაჩნია, რომ „ბარსელონის“ მწვრთნელის იოჰან კრუიფის დღეები დათვლილია. ასახელებენ მისი მომავალი მემკვიდრის გვარსაც. ესაა: საფრანგეთის „პარი სენ-ჟერმენის“ ახლანდელი მწვრთნელი ლუის ფერნანდესი.

● **გენუის** ჰოსპიტალ „მონტალეგროში“ ცნობილმა იტალიელმა ქირურგმა ენრიკო გირიმ ოპერაცია გაუკეთა „სამპდორიის“ კაპიტანს რობერტო მანჩინის. ამას წინათ იტალიის ჩემპიონატის მატჩში ერთმანეთს შეეჯახნენ ჯორჯ ვეა („მილანი“) და მანჩინი. ამ შეჯახების შედეგად მანჩინი საკაცით გაიყვანეს მინდვრიდან.

ჩაუქრობელი ვარსკვლავები

შანდორ კოჩიში

დაიჯერებთ ვინმე, რომ შეიძლებოდა ინგლისელებზე უკეთ თავით თამაში?! ადრე ამას ვინ იფიქრებდა, მაგრამ შანდორ კოჩიშმა ყველას თვალნათლივ დაანახვა, რომ ამის გაკეთება თურმე შესაძლებელი ყოფილა.

შანდორ კოჩიში, ან, როგორც მას გულშემატკივრები ეძახდნენ „შანი“, დაიბადა 1929 წლის 23 სექტემბერს ბუდაპეშტში. მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში, და, განსაკუთრებით ომის შემდეგ, ფეხბურთი უნგრეთში დიდ აღმავლობას განიცდიდა. უნგრელთა თამაშს, უპირველეს ყოვლისა, ახასიათებდა „პაპრიკა“ (უნგრ. „წიწაკა“) — სიმწვავე. დიახ, მათ შეეძლოთ მეტოქისათვის მწვავე თამაში მოეხვიათ თავს და შეხვედრის ბედიც იერიშით გადაეწყვიტათ.

28 წლის კოჩიში ბუდაპეშტის „ფერენცვაროშში“ ჩაირიცხა, სადაც ორი (1947-49) სეზონი გაატარა. კიდევ ერთი სეზონის მანძილზე დედაქალაქის „ედოსში“ თამაშობდა, 1950 წლიდან კი „ჰონვედის“ ფეხბურთელი გახდა. აი, სწორედ ამ გუნდში მოიპოვა მან დიდი პოპულარობა თავისი ტექნიკური, ენერგიული, დიდად შედეგიანი თამაშით. კოჩიში თავით თამაშის დიდი სპეციალისტი იყო, მაგრამ ეს მისი ერთადერთი ღირსება როდი ყოფილა. ქვეყნის 1951 წლის ჩემპიონატში „შანიმ“ 10 გოლი გაიტანა, 1952 წლის ჩემპიონატში კი — 36. ერთი სიტყვით, ესოდენ ახალგაზრდა ფეხბურთელი უკვე ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო სნაიპერად ითვლებოდა.

უნგრელებს დიდი სახელი მოუტანა 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობამ. აქ მათ ნახევარფინალურ მატჩში შვედებს პირდაპირ არნახული ანგარიშით — 6:0 სძლიეს, ფინალში კი იუგოსლავიის მეტად ძლიერი ნაკრები დაამარცხეს — 2:0. ახლა კოჩიშის გუნდს მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერესად მიიჩნევდნენ, მაგრამ ზოგი რამ, ცხადია, მას ჯერ კიდევ უნდა დაემტკიცებინა.

1953 წლის 25 ნოემბერს უნგრელები ლონდონში ე.წ. საუკუნის მატჩში შეხვდნენ ინგლისელებს. „უემბლის“ სტადიონზე 105 ათასი მაყურებელი მოვიდა, რომელიც არნახულ სანახაობას ელოდა. უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე ინგლისელებს არასოდეს წაუგიათ კონტინენტის გუნდებთან საკუთარ მინდორზე. გადავხედოთ გუნდების შემადგენლობებს. ინგლისი — მეზიკი, რამსეი, ეკერსლი, რაიტი, ჯონსტონი, დიკინსონი, მეტიუზი, ტეილორი, მორტენსენი, სეუელი, რობი. უნგრეთი — გროშიჩი, ბუზანსკი, ლორანტი, ლანტოში, ბოჟიკი, ზაქარიაში, ბუდაი, კოჩიში, ჰიდეგკუტი, პუშკაში, ციბორი. ერთ მატჩში ამდენი ვარსკვლავი! უნგრელებმა გაიმარჯვეს 6:3, 1954 წლის 23 მაისს განმეორებით მატჩში ბუდაპეშტში კი პირდაპირ გაანადგურეს მეტოქე — 7:1. დიახ, „დიდ გუნდს“ ბადალი არა ჰყავდა — იგი მხოლოდ დიდი ოსტატებისაგან შედგებოდა.

დღესაც გამოცანაა, როგორ არ გახდა ეს არაჩვეულებრივი ნაკრები 1954 წელს, შვეიცარიაში, მსოფლიო ჩემპიონი. ამაზე ბევრი რამ დაწერილა და კიდევ ბევრი დაიწერება. კოჩიში, როგორც ყოველთვის, დიდებულად თამაშობდა და 11 გატანილი ბურთით ჩემპიონატის №1 სნაიპერი გახდა, თუმცა, ეს მისთვის მცირე ნუგეში იყო, როგორც ის გარემოებაც, რომ იგი უნგრეთის ჩემპიონატშიც ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი გახდა (33 გოლი გაიტანა).

1956 წლის უნგრეთის სისხლიან მოვლენებს, მრავალ სხვასთან ერთად, „დიდი გუნდიც“ შეეწირა. ზოგი მოთამაშე სად აღმოჩნდა და ზოგი — სად. სამშობლოს საზღვრებს გარეთ დარჩენილმა კოჩიშმა ერთი სეზონი შვეიცარიაში, ციურიხის „იანგ ფელოუსში“ გაატარა, 1958 წლიდან კი მთელი რვა სეზონის მანძილზე ბრწყინავდა „ბარსელონაში“. ამასობაში მისი ცნობილი პარტნიორი ფერენც პუშკაში მადრიდის „რეალის“ მეტოქეებს შორის ზარს სცემდა. ყოფილ თანამოაზრეებს ახლა სულ სხვადასხვა კლუბების ინტერესები უნდა დაეცვათ. პუშკაში კიდევ მოესწრო სამშობლოში დაბრუნებას, მართალია, ფეხბურთელის კარიერის დამთავრების შემდეგ, კოჩიში კი უფრო უიღბლო აღმოჩნდა. საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ ამ არაჩვეულებრივად ნიჭიერმა თავდამსხმელმა უნგრეთის ნაკრებს გაცილებით ნაკლები სამსახური გაუწია, ვიდრე შეეძლო, მაგრამ აბა დავაკვირდეთ ამ „გაცილებით ნაკლებსაც“? „დიდ გუნდში“ ნათამაშევი 8 წელი (1948-56), 68 მატჩი, 75 გოლი — ეს ხომ მეტად საამაყოა!

● **ინგლისის** წამყვანი კლუბების მწვრთნელები იბრძოლებენ იმისთვის, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ზამთრის არდადეგების პერიოდი უფრო ხანგრძლივი იყოს

● **იტალიის** „პიაჩენცა“ დაჯარიმდა 12 ათასი დოლარით იმისთვის, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთ კალენდარულ მატჩში გუნდის გულშემატკივრებმა თოვლის გუნდებით „დაბომბეს“ არბიტრი. ანალოგიური დარღვევებისთვის 9 ათასი დოლარით დაჯარიმდა „ატალანტაც“, ოღონდ ამ კლუბის გულშემატკივრები არბიტრებსა და ინსპექტორს ესროდნენ კენჭებს და სხვა მკრივ საგნებს.

● **იაპონელებმა** შეიმუშავეს სუპერპროექტი, რომლის მიხედვითაც ფეხბურთის მატჩის ცქერა ტრიბუნიდან ერთდროულად 4 მილიონ გულშემატკივარს შეეძლება. პროექტი გულისხმობს სხვადასხვა ქვეყნებში სპეციალური მოედნების მშენებლობას, რომლებზეც დამონტაჟდება გიგანტური ეკრანი (სიგრძე — 80 და სიმაღლე — 35 მეტრი). გოლოგრაფიული გამოსახულების წყალობით, რომელზეც სამგანზომილებიანი სივრცე აისახება, მაყურებელი თავს სტადიონზე იგრძნობს. იაპონელები ამ ტექნიკურ საოცრებას გამოიყენებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიღებენ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლებას.

● **ინგლისის** ნაკრები ევროპის ჩემპიონატისათვის მზადების პერიოდში გამართავს ოთხ ამხანაგურ შეხვედრას. თებერვალში (თარიღი ჯერ არ არის დაზუსტებული) „უემბლიზე“ უმასპინძლებს ირლანდიას, 27 მარტს — ბულგარეთს, 24 აპრილს — ხორვატიას და 18 მაისს — უნგრეთს.

იურგენ კლინსმანი — წლის ბომბარდირი

კარგა ხანია, რაც ვისბადენში (გერმანია) ფუნქციონირებს ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაცია. ეს ორგანიზაცია 1991 წლიდან მოყოლებული ავლენს მსოფლიოს საუკეთესო ბომბარდირს.

ფეხბურთელს ეთვლება ოფიციალურ საერთაშორისო მატჩებში გატანილი ყველა გოლი (როგორც ნაკრების, ისე კლუბის დონეზე). 1995 წლის შედეგების მიხედვით, მსოფლიოს საუკეთესო ბომბარდირად დასახელებულია გერმანელი იურგენ კლინსმანი, რომელმაც შარშან ნაკრების შემადგენლობაში 6 გოლი გაიტანა, „ბაიერნის“ შემადგენლობაში კი 11. აი როგორია უძლიერეს ბომბარდირთა სია:

1. იურგენ კლინსმანი (გერმანია, „ტოტენჰემი“, „ბაიერნი“) — 17
2. მარიო ჟარდელი (ბრაზილია, „გრემიო“) — 16
3. ენცო ფრანჩესკოლი (ურუგვაი, „რივერ-პლეიტი“) — 14
4. როდნი ჯეკი (სენტ-ვინსენტი, „სტინგერსი“) — 13
5. ედმუნდო (ბრაზილია, „პალმეირასი“, „ფლამენგო“) — 12

11-11 გოლი აქვთ გატანილი და შესაბამისად VI-XI ადგილებს ინაწილებენ: ანჯეი იუსკოვიაკი (პოლონეთი, „სპორტინგი“, „ოლიმპიაკოსი“), დავორ შუკერი (ხორვატია, „სევილია“), ედუარდო ურტადო (ეკვადორი, „ემელეკი“), ჯანფრანკო ძოლა (იტალია, „პარმა“), პეტრ სამეცი (ჩეხეთი, „გრადეც-კრალოვე“), ვიქტორ არისტიზაბალი (კოლუმბია). 10-10 გოლი გაიტანეს და XII -XIII ადგილებს იყოფენ ტულიო (ბრაზილია, „ბოტაფოგო“) და იარი ლიტმანენი (ფინეთი, „აიაქსი“).

პროფესიულ რინგზე

მსოფლიოს ექსჩემპიონი კრივში, 47 წლის ჯორჯ ფორმენი არ გამორიცხავს მაიკ ტაისონთან შეხვედრის შესაძლებლობას. ყოველ შემთხვევაში, იგი მზადაა მოაწეროს ხელი კონტრაქტს ნებისმიერ პირობებზე. ამჟამად ფორმენი ჰიუსტონში იმყოფება და ემზადება მაიკლ მურერთან ბრძოლისათვის, რომელიც დანიშნულია 29 თებერვლისათვის ნიუ-იორკში. იმისათვის, რომ ფორმენ-ტაისონის შეხვედრა რეალური გახდეს 47 წლის ვეტერანმა ჯერ მურერი უნდა ჩამოიცილოს გზიდან.

როგორც ვიუწყებოდით, იბფ-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონს 76,2 კგ-ში როი ჯონსს გადაწყვეტილი ჰქონდა თავი დაენებებინა კრივისათვის და ერთ-ერთ ინგლისურ კლუბში კალათბურთელის კარიერა დაეწყო. ახლა ჯონსის გეგმები ნაწილობრივ შეიცვალა. მან უარი თქვა რინგიდან სამუდამოდ წასვლაზე. იანვრის ბოლო რიცხვებიდან იგი „გავა შვებულებაში“, ოღონდ 3-4 თვით. აი, ამ პერიოდში შეიძლება ითამაშოს კალათბურთი.

29 წლის ფრანგმა პროფესიონალმა ნორბერ ეკასიმ ცოლთან ჩხუბის დროს ხელის დარტყმით დაამსხვრია კარის მინა, გადაეჭრა არტერია, 10 წუთში სისხლით დაიცალა და გარდაიცვალა სასწრაფო დახმარების მოსვლამდე. არადა, უსიამოვნების მიზეზი აღმოჩნდა ტელეპროგრამა: ცოლს სურდა ერთი გადაცემის ნახვა, ქმარს — მეორის.

ჩინეთში, მას შემდეგ, რაც 36 წლის წინათ რინგზე გარდაიცვალა ერთ-ერთი ადგილობრივი მოკრივე, სპორტის ეს სახეობა აკრძალული იყო (1959-86 წლების პერიოდში). ახლა კრივი ნელ-ნელა იბრუნებს პოპულარობას. ჩინეთში უკვე შემუშავდა მისი აღორძინების კონკრეტული პროგრამა, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს კონტაქტების განახლებას კუბის, რუსეთის, საფრანგეთისა და გერმანიის მწვრთნელებთან.

მსოფლიოს ჩემპიონი 50,8 კგ-ში (იბფ-ს ვერსიით) მექსიკელი დენი რომერო აპირებს წონის შეცვლას და უფრო მაღალ კატეგორიაში გადასვლას. ამიტომ მისი შეხვედრა მარკ ჯონსონთან, რომელიც 2 თებერვალს უნდა შემდგარიყო ალბუკერკში, აღარ გაიმართება.

დეკემბრის ბოლო რიცხვებში 58 წლისა გარდაიცვალა მაიკ ტაისონის ამასწინანდელი მეტოქის, ბასტერ მათის-უმცროსის მწვრთნელი ჯო ფარიელო. თავისი კარიერა მან დაიწყო, როგორც ლეგენდარულ კასა დ'ამატოს (მაიკ ტაისონის აღმომჩენის) თანაშემწემ. ისინი ერთად ამზადებდნენ მსოფლიო ჩემპიონებს ფლოიდ პატერსონსა და ხოსე ტორესს. შემდგომში ფარიელო მუშაობდა მარკ ბრელენდთან, ჯუნიორ ჯონსთან და ტომ ჯონსთან.

მსოფლიოს ექსჩემპიონმა მძიმე წონაში ლერი ჰოლმსმა მეოთხე რაუნდში ნოკაუტით აჯობა ნაკლებად ცნობილ კარტის შეპარდს. მანამდე ჰოლმსმა ორჯერ დააგდო მეტოქე იატაკზე. ეს იყო 45 წლის ვეტერანის 63-ე გამარჯვება პროფესიულ რინგზე. ჰოლმსმა თავის სპორტულ კარიერაში მხოლოდ 5 ბრძოლა წააგო.

ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ მესამედ უარყო ტაისონის მოთხოვნა სცნონ უდანაშაულოდ დეზირა ვაშინგტონის გაუპატიურების საქმეში. როგორც ცნობილია, მსოფლიოს ექსჩემპიონმა ამ დანაშაულისათვის 3-წლიანი პატიმრობის ვადა მოიხადა.

ბოლოს და ბოლოს გადაწყდა, რომ საუკუნის მატჩად წოდებული ორთაბრძოლა 63,5 კგ წონაში მსოფლიოს ჩემპიონს მექსიკელ ხულიო სესარ ჩავესსა და ამ ტიტულის მაძიებელს ამერიკელ ოსკარ დე ლა ჰოიას შორის გაიმართება ლასვეგასში, 7 ივნისს, „პალას ოტელის“ 16-ათასიან არენაზე. მატჩის ორგანიზატორია ცნობილი პრომოუტერი ბობ არუმი.

რა ხდება ქვეყანაზე

● **უკრაინის** პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ მიიღო ქვეყნის მოწინავე სპორტსმენები, სპორტული ფედერაციების წარმომადგენლები, მწვრთნელები, სპორტკომიტეტის მუშაკები. შეხვედრაზე მსოფლიოს 1995 წლის ჩემპიონებს ლილია პოდკოპაევასა (სპორტული ტანვარჯიში) და ეკატერინა სერებრიანსკაიას (მხატვრული ტანვარჯიში) გადაეცათ ქვეყნის უმაღლესი ჯილდო — უკრაინის პრეზიდენტის საპატიო ნიშნები.

● **მსოფლიოს** ჩემპიონი და რეკორდსმენი ჰოკით ხტომაში სერგეი ბუბკა, უკრაინის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ვალერი ბორზოვის წარდგინებით, დაამტკიცეს უკრაინის წარმომადგენლად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპორტსმენთა კომისიაში.

● **იბფ-ს** ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი 66,7 კგ-ში ექტორ „მაჩო“ კამაჩო დასახელებულია წლის საუკეთესო მოკრივედ. 1995 წელს კამაჩომ სამჯერ დაიცვა წარმატებით უმაღლესი ტიტული.

სამოთხე ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე

ადამიანი, როგორც ჩანს, უხსოვარი დროიდან არიდებს თავს გადასახადებს და ამისათვის ათასგვარ ეშმაკობას მიმართავს. სპორტში ეს კრიმინალური ტენდენცია არც ისე დიდი ხანია დაინერგა, თუმცა ტექნიკური თვალსაზრისით იგი უმაღლეს დონეზეა აყვანილი და იურიდიულ საფუძველს დასჯისათვის არც კი იძლევა.

დღეს ამ მეთოდს გადასახადებისაგან დაცულ ოაზისში ცხოვრებას უწოდებენ. ასეთი ოაზისები მიმობნეულია მთელს მსოფლიოში. ევროპაში ერთ-ერთ პრესტიჟულ ოაზისად მონაკო ითვლება, ქალაქი — სამთავრო ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე, რომელსაც ჰყავს თავისი საკუთარი პრინცი — ალბერტი, თავისი პოლიცია, წესრიგის დაცვის საკმაოდ სოლიდური სამსახური და ასკაციანი არმია, უმთავრესად ორგანიზებულ ტერორიზმს რომ ებრძვის.

ეს, გადასახადებისაგან თავისუფალი სამოთხე, ორ ათეულზე მეტი წლის წინ აღმოაჩინეს ცნობილმა შვედმა სპორტსმენებმა, ჩოგბურთელმა ბიორნ ბორგმა და მოთხილამურემ ინგემარ სტენმარკმა. მათ დაუდეს სათავე გამდიდრებულ სპორტსმენთა სწრაფვას უგადასახადო სამოთხისაკენ, რომელმაც ბოლო დროს მასობრივი ხასიათი მიიღო. მონაკოში უკვე ცხოვრობს ასობით სუპერვარსკვლავი. ზოგიერთ მათგანს ორი სახლიც კი აქვს წამოჭიმული ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ხოლო ბორის ბეკერი, როგორც ბოროტი ენები ამტკიცებენ, სამი ფეშენებელური ვილის მეპატრონეა მონაკოში.

ამ რამდენიმე წლის წინ, ავსტრიელმა ავტომობილისტმა გერჰარდ ბერგერმა, დატოვა თავისი ალპიური სამშობლო და საცხოვრებლად მონაკოში გადასახლდა. ბერგერს, ცხადია, მხოლოდ ლაჟვარდოვანი ნაპირის პლიაჟები არ იზიდავდა. იგი გაექცა ავსტრიის საგადასახადო სამსახურს, რომელიც მას დიდი ჯარიმებით ემუქრებოდა. მაშინ კოლეგებმა აუხსნეს, რომ მონაკო სამოთხეა იმ ხალხისათვის, ვისაც არ სურს თავისი შემოსავლის ნაწილი გაუყოს სახელმწიფოს. მაგრამ სამოთხეში მოხვედრა არ ყოფილა იოლი საქმე. მონაკოში ცხოვრებისათვის საჭირო იყო, ჯერ ერთი საკმაოდ სოლიდური კაპიტალი და მეორეც, ვიტამინი „C“, რაც ადგილობრივ ჟარგონზე — ნაცნობობას, ხელსაყრელ კავშირებს ნიშნავს.

ბერგერი დასახლდა შენობაში, რომელშიც ბორის ბეკერიც ცხოვრობდა. ოღონდ ბეკერს ჰქონდა აპარტამენტები მაღლივი კორპუსის მე-20 სართულზე, ბერგერმა კი მესამე სართული დაიქირავა. 30-სართულიანი „როსაბელა“ ცნობილია, როგორც მიუდგომელი ცათამბჯენი, რომლის ყოველ კუთხეში ჩამალული ტელეობიექტივები მუდმივად აკონტროლებენ სახლის მისადგომებს.

ერთხელ „შპორტ-ბილდის“ ფოტორეპორტიორმა ამ ცათამბჯენის ფირზე აღბეჭდვა მოისურვა. იგი უმალ დააპატიმრა დაცვამ. ფოტორეპორტიორმა რამდენიმე საათი დაჰყო პოლიციის განყოფილებაში. გაანთავისუფლეს იგი მხოლოდ მას შემდეგ, რაც რედაქციიდან მოვიდა დასტური მისი ვინაობის თაობაზე. გამოთხოვებისას ჟურნალისტს ურჩიეს მომავალში არასდროს გადაეღო ეს ან სხვა საიდუმლო ობიექტი.

ბერგერი ამტკიცებს, რომ მონაკოში შეგიძლია არ ჩაკეტო ავტომანქანა და შიგ ჩატოვო, მაგალითად, ვიდეოკამერა. ვერავინ გაბედავს მის მოპარვას. 400 პოლიციელის გარდა, ქალაქში ბლომად არიან გადაცმული დეტექტივები. წესრიგი და სისუფთავე პრინც ალბერტის დევიზი გახლავთ, უფლისწული პირადად აკონტროლებს სიტუაციას ყოველდღე. ერთხელ ბერგერმა საკუთარი თვალით ნახა თუ როგორ ასუფთავებდა დანაგვიანებულ ქუჩას პრინცი.

რა ღირს ცხოვრება ასეთ სამოთხეში? საკმაოდ ძვირი. ცხონებული აირტონ სენა, თურმე, ქირაობდა ბინას „ჰიუსტონ პალასის“ მე-15 სართულზე და თვეში 10 ათას დოლარს იხდიდა. კიდევ ვინ ცხოვრობს მონაკოში? ამ საიდუმლოებას ოფიციალურად არავინ გაგიმხელთ...

დაკანონებული უცნაურობანი

გოლფი და შინაური ცხოველები

ზიმბაბვეში გოლფი სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა მდიდარი და შეძლებული ხალხისთვის. ამიტომაც, იქაურ გოლფ-კლუბს „ელეფანტ ჰილზ ქანთრის“ თავისი დებულებაც აქვს და წესებიც შემუშავებული. აი, ზოგიერთი პუნქტი ამ წესებიდან:

„თუ მოთამაშეს გამოედევნა სპილო და ამის გამო შეიცვალა ბურთის მდგომარეობა, მას უფლება აქვს განაახლოს თამაში იმ ადგილიდან, სადაც მას თავს დაესხა სპილო“.

„თუ ბურთი დაეცემა მძინარე კამეჩთან ერთი მეტრის სიახლოვეს, მოთამაშეს ეძლევა უფლება ხელახლა შეასრულოს დარტყმა“.

როგორც ამბობენ, წესებში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს გოლფისტი გარეულ ნადირთან შეხვედრისას.

ამომრჩეველთა მოზიდვის მიზნით

კოლუმბიაში მოქმედმა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ „მ-19“-მა 1990 წელს ლეგალიზაციის უფლება მიიღო და სულ მალე პოლიტიკური პარტიის სტატუსი დაიმტკიცა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი მან ერთ-ერთი პროფესიონალური საფეხბურთო კლუბის სპონსორობა იკისრა. მიზანი ნათელია — მომავალ არჩევნებში ფეხბურთის გულშემატკივართა ხმების მოზიდვა. ყოფილ მემარცხენე-ექსტრემისტულ მოძრაობას რეკლამას გაუწევენ ბარანკილის „სპორტინგის“ ფეხბურთელები.



ჰოლივუდთან ახლოს

მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი მონიკა სელეში კვლავ ოცნებობს კინომსახიობის კარიერაზე. ამ მიზნით იგი საცხოვრებლად გადავიდა ლოს-ანჯელესთან ახლოს (როგორც ცნობილია, ამერიკული კინოხელოვნების მექა — ჰოლივუდი ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ გარეუბანს წარმოადგენს), ფლორიდის დიდებული აპარტამენტები კი გაყიდა. სელეშის ახალი სახლი აღჭურვილია ჩოგბურთის კორტით, საცურაო აუზით და ყრუ კედლით, რომელმაც უნდა დაიცვას იგი დაუპატიჟებელი სტუმრისაგან და ჟურნალისტებისაგან.

კროსვორდი



თარაზულად: 5. იბერიის მეფე, რომელსაც როგორც უბადლო მხედარს და მოასპარეზეს რომის კეისარმა ქანდაკება დაუდგა მარსის მოედანზე. 6. სპეციალური აღკაზმულობა, 8. წარსულში ცნობილი რუსი ფეხბურთელი, 11. ერთადგილიან კანოეში უნგრელი ოლიმპიური (1968წ.) ჩემპიონი, 14. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი (30-40-იანი წლების) ჩოგბურთელი, 15. ოლიმპიური თამაშების (1980წ.) ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, 16. აკადემიურ ნიჩბოსნობაში ჩეხოსლოვაკიელი ოლიმპიური ჩემპიონი (1960წ.), 17. ავსტრიელი ცნობილი ფეხბურთელი, 21. გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ ყოფილი სპორტული მიმომხილველი, 22. კეტჩში ცნობილი იაპონელი პროფესიონალი, 23. ლეგენდარული შვედი მოთხილამურე — ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი რბოლაში, 26. კულტურიზმი ანუ... 27. წერთნა, წერთნის რეჟიმი, 28. ზამთრის სახეობის ინვენტარი.

შვეულად: 1. ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ფრენბურთში. 2. ქართული ხალხური სპორტული თამაშობა, 3. სპორტის სახეობა, 4. პრეპარატი, რომელიც ძალიან ესაჭიროება სპორტსმენებსაც, 7. სპორტთამაშებში მარჯვენა ან მარცხენა მხარე... 9. სტადიონი კუბაში, 10. ვარჯიშში: ხელები განზე... 12. ფიფას გენერალური მდივანი, 13. გალის „მზიურის“ ყოფილი მწვრთნელი, 18. მითოლოგიური არსება ცხენის ტანით და ადამიანის გულმკერდითა და თავით, 19. საკრავი, რომელსაც ანტიკურ ოლიმპიადებში იყენებდნენ, 20. დაბრკოლება მძლეოსნობაში, ცხენოსნობაში... ასპარეზობისას, 24. აღორძინებული ოლიმპიური თამაშების პირველი მასპინძელი ქალაქი, 25. კვამლი და სქელი ნისლი, რომლის მოჭარბება აბრკოლებს სპორტულ შეჯიბრებებს.

„ლელოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. „ცინცინატი“, 4. ჟერსონი, 6. პენალტი, 9. იორლა, 12. მალტა „ოსერი“, 17 კურიე, 19. ლამანში, 20. ბაგიო, 21. ოსლო, 22. „არგო“, 25. იააფი, 26. პირაევი, 27 იგენი, 31. ჩანგი, 32. შტილი, 35. ტაბლო, 36. არბიტრი, 37. არნოლდი, 38. ფრისტაილი.

შვეულად: 2. „ნანტი“, 3. არენა, 4. ჟილმარი, 5. სალტო, 7. აგასი, 8. ირვინგი, 10 რივა, 11. გაკვეთილი, 14. სტოლიპინი, 15. კალორია, 16. უშმაევი, 18. ეროსი, 20 ბროლი, 23. დარტყმა, 24. მეტიუზი, 28. კლობი, 29. ბადრო, 32. შორტი, 33. აუტი, 34. იარდი.

საჭადრაკო ამოცანა



შამათი 3 სვლაში

ვეტერან მორაგბეთა ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ცნობილ ვეტერან მორაგბეს მურად თოფურიძეს დედის

ტატიანა
ჩაჩავა — თოფურიძის

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ი. სიდამონიძე, ნ. რამიშვილი, მ. წოწორია